ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

სპეციალობა: ბიზნესის ადმინისტრირება-ფინანსები

სტუდენტი: გიორგი რიჟვაძე

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, როგორც ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების-ფინანსების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი; ლაშა ბერიძე

ხიჭაური 2019

ანოტაცია

უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე აღიარებული და დადასტურებულია როგორც, თეორიული, ასევე პრატქიკული მიდგომებითაც. ინვესტიციების მნიშვნელობა განსაკუთრებულია გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკებისათვის, რამეთუ მოსახლეობაში დაბალი შემოსავლები, დანაზოგების სიმცირე ვერ ასტიმულირებს ეკონომიკურ პროგრესს, რომლის დროსაც საჭიროა უცხოური კაპიტალის შემოდინება, რაც დამატებითი ფულადი რესურების ხარჯზე ქმნის ეკონომიკურ ერთეულს (საქონელი) და აღნიშნული პროცესი თავის არსით სხვადსხვა ეფექტის მატარებელია, კერძოდ დასაქმების ზრდა, მოსახლეობაში შემოსავლების გაზრდა, მეტი გადასახადები და სხვა ეკონომიკური თუ სოციალური ეფექტი. შესაბამისად, ასეთი პროცესი საქართველოსთვის გარდაუვლად საჭიროა.

უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე მოქმედი ფაქტორები განსხავებულია და დამოკიდებულია საერთო-ეკონომიკურ და კორპორაციულ ფაქტორებზე, რომელიც გამომდინარეობს, არამარტო ქვეყნის შიდა ეკონომიკური პოლიტიკიდან, არამედ მსოფლიო ტენდენციებიდანაც, ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა და მისი პოპულარიზაცია, ხშირად სახელმწიოფების გამოწვევად რჩება.

უცხოური ინვესტიციების დადებითი მოქმედება აისახება ასევე ქვეყნის სავალუტო კურსის ცვლილებაზე, რაც საქართვლოს მსგავსი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, ამიტომ თანამედროვე სამყაროში ქვეყნები ცდილობენ შექმნან ისეთი გარემო-ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფს კაპიტალის შემოდინებას დინამიკურად და მას ექნება პროგრესული ხასიათი.

უცხოური ინვესტიციები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინფრასტრუქტურის აღდგენა, განახლებასა და შექმნაში, რაც საქართველოს მსგავსი ქვეყნისათვის აუცილებელია.

ნაშრომის ძირითადი დანიშნულებაა იმ ფაქტორების გამოკვეთა და ანალიზი რომელიც ზეგავლენას ახდენს უცხოური ინვესტიციების შემოდინაზე და მისი ეფექტების განსაზღვრა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე.

Giorgi Rizhvadze

The direct foreign investments in Georgia as the possibility of economical growth

Annotation

The influence of foreign investments on the receiver countries economy is confirmed nit only theoretically but also practically.the importance of the investment is essential for transitive and developmental economic,because the law income and the law savings can't stimulate economical progress,that needs foreign capital income influence, which creates economical unit (product) in the base of additional resources. the process inherently has different kinds of effects:in particular,the growth of employment income in population.more tax increase and economical or social effects. Therefore, the process is really essential for Georgia. The factors that influence on the foreign investments affluence differ and is depended on the entire economical and companywide factors, which is caused not only by the countries inner economical politic but also by the tendency of the world. That' why the creation of the active investment environment by the government is a question. The positive function of the foreign investments reflects on the behavior of the rate of exchange. Which is one of the most important thing for the economy of a country like Georgia. That's why in the modern world countries try to create the environmental factors, that provides capital inflows dynamically and it would have progressive mood.The foreign investments have high importance in restoring, renewal and creation of infrastructure, That is crucial for Georgia. The main aim of the work is to cut out and analyze the factors that influences on the inflow of the investments and determine of its effects on receiver countries economic.

სარჩევი

შესავალი.....5

1. ინვესტიციების ეკონომიკაზე ზეგავლენის ფაქტორები.....8

1.1 ინვესტიციების სახეები და მათი სპეციფიკა.....8

1.2 საინვესტიციო გარემოს რეგულირება 15

1.3 ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა 22

2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საქართველოს პრაქტიკა 28

2.1 ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში 28

2.2 საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 38

2.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედარებითი ანალიზი 51

3. საქართველოს საინვესტიციო გარემოს ანალიზი და პერსპექტივები.....61

3.1 ინვესტიციები შემაფერხებელი ფაქტორები.....61

3.2 საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის შეფასება 66

დასკვნა 85

გამოყენებული ლიტერატურა 87

შესავალი

თემის აქტუალობა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს თამაშობს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდა განვითარებაში, უცხოური ინვესტიციები თავისთავად გულისხმობს ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუს შემოდინებას, კონკრეტულ სექტორთან დაკავშირებული ახალი ცოდნის და გამოცდილების შემოდინებას, რომელიც შემდგომში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინვესტიციის მიმღები ქვეყნის კადრების პროფესიონალიზმის ამაღლებაში. ბოლო წლების ტენდენციების შესაბამისად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების ზრდა დადებითად მოქმედებს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე და მათ შორის არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს, სადაც დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან სხვადასხვა მიმართულებით მთ შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისების კუთხი განხორციელებულმა რეფორმებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებას.

ნაშრომი შედგება სამი თავისა და რვა ქვეთავისაგან, სადაც ადგილი ეთმობა ინვესტიციის სახეებსა და მისი თავისებურებების განხილვას, საუბარია აგრეთვე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამართლებრივ რეგულირებაზე თუ როგორ არის მოწესრიგებული საკანონმდებლო დონეზე, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საქართველოს პრაქტიკა ამ მიმართულებით გაანალიზებულია საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

თვალსაჩინოებისათვის ნაშრომში წარმოდგენილია ბალტიისპირეთის ქვეყნების პრაქტიკა უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია ასევე პირდაპირი

უცხოური ინვესტიციების შესაძლო შემაფერხებელი ფაქტორების განხილვა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს გავითვალისწინოთ რეკომენდაციის სახით და ხელი შევუწყოთ უცხოური ინვესტიციების ზრდას, ყურადღება უნდა გავამახვილოთ საქართველოში საინვესტიციო პოტენციალის შეფასებაზე, ამ კუთხით განხილულია საქართველოს პოზიციები საერთაშორისო რეიტინგებში, როგორიცაა Doing business 2019, Economic Freedom of the World 2018 და სხვა მნიშვნელოვანი რეიტინგები, სადაც საქართველო ყოველწლიურად აუმჯობესსებს საკუთარ პოზიცებს და ეს გამოწვეულია ქვეყანაში განხორციელებული რეფორმების შედეგად.

მიზნები და ამოცანები. თემის მიზანს წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობისა და გავლენების განსაზღვრა საქართველოს ეკონომიკისათვის, ხოლო ამოცანას წარმოადგენს შემდეგი საკითხების შესწავლა.

- რაქ დადებითი ეფექტის მოტანა შეუძლია უცხოურ ინვესტიციებს საქართველოსთვის
- რა უარყოფითი შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს უცხოური ინვესტიციები
- რომელ ფაქტორებზე იქონიებს გავლენას პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
- ეკონომიკის რომელ სექტორშია ინვესტიციის განხორციელება ყველაზე მნიშვნელოვანი და მომგებიანი საქართველოსთვის
- რა ფაქტორები ახდენს გავლენას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდაზე

ნაშრომის მეცნიერული სიახლე.

1. ნაშრომში წარმოდგენილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარების ეტაპები და მისი გავლენის მნიშვნელობა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე ამ კუთხით განხილულია პირრადპირი უცხოური ინვესტიციები წილი მშპ-ს ფორმირებაში.
2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი ფაქტორებიდან საქართველოსთვის ყველაზე ხელსაყრელი და სარგებლიანობის მომტანი მიმართულების გამოკვეთა, გაანალიზებულია თუ

რომელ სექტორში ინვესტირებით არიან დაინტერესებული უცხოელი ინვესტორები.

3. შეფასებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ინვესტიციებთან მიმართებაში და გამოიკვეთა საჭიროებს თუ არა მეტ საგადასახადო თუ საკანონმდებლო შეღავათებს უცხოელი ინვესტორები.
4. გაანალიზებულია საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციები, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, პრეფერენციული ვაჭრობის რეჟიმი, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), შედეგად გამოვლინდა ძირითადი მოტივატორი თუ რატომ არის მიმზიდველი ქვეყანა საქართველო ინვესტორებისათვის.

კვლევის მეთოდოლოგია და ბაზა. კვლევის საწარმოებლად გამოყენებულ იქნა ინტერნეტ გამოკითხვის საშვალება. აღნიშნულისთვის შეირჩა Google Forms – ის აპლიკაცია, კვლევა ჩატარდა 2019 წლის 27 მაისიდან 12 ივნისამდე პერიოდში. გამოკითხულ იქნა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელი 150 საქართველოს მოქალაქე.

1. ინვესტიციების ეკონომიკაზე ზეგავლენის ფაქტორები.

1.1 ინვესტიციების სახეები და მათი სპეციფიკა

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში.[1]

სახელმწიფოს სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირება ყოვლად შეუძლებელია ინვესტიციების გარეშე. ინვესტიციები თანამედროვე ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. ინვესტიციები უზრუნველყოფენ კვლავწარმოების უწყვეტობას. ხელს უწყობენ საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობენ წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში. სახელმწიფოს კრიზისის პირობებში ინვესტიციები წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას სოციალური და საწარმოო პოტენციალის სტრუქტურული გარდაქმნისა და მისი ბაზრისადმი დაქვემდებარების გზაზე.

სიტყვა ინვესტიცია ლათინური წარმოშობისაა (investire - შემოსვა) და ნიშნავს კაპიტალის ხანგრძლივ დაბანდებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოებში.

[1] საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობისა ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, მუხლი 1

დროთა განმავლობაში, ტერმინმა ინვესტიციამ უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა და მისი გამოყენება დაიწყო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. დღევანდელი გაგებით კი ,,ინვესტიცია" მოგების მიღების მიზნით ფინანსური ან/და არაფინანსური აქტივების დაბანდებას აღნიშნავს.[2]

ამასთან არსებობს ინვესტიციების მრავალი განმარტება, კერძოდ, უილიამ შარპისა და მისი თანაავტორების აზრით, ინვესტიცია ეს არის „ ფულთან განშორება დღეს, ხვალ უფრო მეტის მიღების მიზნით". ხოლო ა.ს. სელიშევის განმარტებით ინვესტიციები არის დანაზოგის გამოყენება ძველის აღსადგენად და ახლი საწარმოო სიმძლავრეების და სხვა კაპიტალური აქტივების შექმნის მიზნით. სხვა სიტყვებით, ეს არის მზა პროდუქციის ნაკადი, რომელიც გამოიყენება გარკვეულ პერიოდის განმავლობაში ეკონომიკაში ძირითადი ფონდების შენარჩუნებისა და გაზრდისათვის.

მაგრამ ყველა მათგანს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1) უცხოური ინვესტიციები გულისხმობენ მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს;

2) ინვესტიციისაგან უკუგება შეიძლება მიღებულ იქნას რამდენიმე წლის შემდეგ;

3) ინვესტიციის განხორციელებისას არსებობს რისკისა და გაურკვევლობის ელემენტები;

4) ინვესტიციები, რომლებიც განიხილება, კაპიტალურ დაბანდებებად, გულისხმობენ ძირითადი კაპიტალის შეძენას, საწარმოო შესაძლებლობების გაფართოებას, რომლებიც საბოლოოდ მიმართულია ეფექტიანობის ზრდისაკენ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნება - „ინვესტიციები" სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება: სამომხმარებლო ინვესტიციები; ინვესტიციები ბიზნესში (ეკონომიკური ინვესტიციები); ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში (საფინანსო ინვესტიციები).

სამომხმარებლო ინვესტიციები - პირდაპირი მნიშვნელობით არ წარმოადგენს ინვესტიციებს. იგი ნიშნავს ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ან უძრავი ქონების შეძენას.

---

[2] ჭარაია ვ. - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის (საქართველოს მაგალითზე) დისერტაცია თბილისი - 2015;9

ინვესტიციები ბიზნესში თავის უმთავრეს მიზნად ისახავს მოგების მიღებას, რისთვისაც ხდება საწარმოო აქტივების შეძენა და გამოყენება. ინვესტიციების ასეთი ფორმის დროს იქმნება რეალური საწარმოო სამძლავრები. ეკონომიკური ინვესტირება ნიშნავს საწარმოო პროცესების ორგანიზებას მოგების მიღების მიზნით, ე.ი. ამ დროს ხდება წარმოების ფაქტორების (ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი და სამუშაო ძალა) შეძენა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ინვესტირება რეალურ აქტივებში სახსრების დაბანდებაა მოგების მიღების მიზნით, რომელიც დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან „ნორმალური“ რისკის პირობებში.

საფინანსო ინვესტიციები ნიშნავს აქტივების შეძენას ფასიანი ქაღალდების სახით მოგების მიღების მიზნით, ამ სახის ინვესტიციებისათვის „ნორმალური“ რისკის პირობებში. საფინანსო ინვესტორი უშუალოდ არ მონაწილეობს მართვის პროცესში და წინასწარ ეგუება რეალური აქტივების სხვისგან მართვას. როგორც წესი, იგი უბრალოდ ყიდულობს უკვე არსებულ ფასიან ქაღალდებს. საფინანსო ინვესტირების პროცესი ნიშნავს უბრალოდ საკუთრების უფლების გადაცემას: ინვესტორი გადასცემს ფულზე თავის საკუთრების უფლებას (აძლევს ფულს) და ამის სანაცვლოდ ღებულობს უფლებას მომავალ შემოსავალზე (იძენს ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლებას).

ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების დაბანდებისას რისკის დონე ბალანსირდება მოსალოდნელი შემოსავლით. მაგრამ ძალიან მაღალ პოტენციურ შემოსავალსაც კი არ შეუძლია იყოს ფასიან ქაღალდებზე დიდი რისკის საფუძველი. არსებობს ასეთი ინვესტიციების წარმოების რისკის დასაშვები საზღვრები. სპეკულაციის დროს არ არსებობს მჭიდრო კავშირი მომავალ შემოსავალსა და ფასიან ქაღალდებში გაწეულ დაბანდებებზე არსებულ რისკს შორის. გარდა ამისა იგი არ საჭიროებს რისკის საზღვრების დადგენას.

ინვესტიციები უშუალოდ უზრუნველყოფენ კაცობრიობის ეკონომიკურ ზრდას და პროგრესს; ინვესტიციები წარმოადგენენ ერთობლივი მოთხოვნის ყველაზე არამდგრად ნაწილს და ყველაზე მეტად ემორჩილებიან კონიუნქტურულ რხევებს.[3]

ისტორიული წყაროების მიხედვით, "ინვესტიტურას" უწოდებდნენ იერარქიულად მაღლა მდგომი პირის მიერ თავისი ვასალისთვის მიწის ან რაიმე თანამდებობის გადაცემას. დროთა განმავლობაში ტერმინი "ინვესტიცია" სხვადასხვა მნიშვნელობებით შეივსო და ის ფართოდ გამოიყენება საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

ინვესტიცია შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის. მაგალითად, დაბანდების ადგილის მიხედვით ინვესტიციები იყოფა ადგილობრივ და უცხოურ ინვესტიციებად. ადგილობრივი ინვესტიციები გულისხმობს კაპიტალის დაბანდებას რეზიდენტი პირის მიერ, ხოლო უცხოური ინვესტიციები – არარეზიდენტი პირის მიერ კაპიტალის სხვა ქვეყანაში დაბანდებას.

უცხოური ინვესტიციები იყოფა პორტფელურ და პირდაპირ ინვესტიციებად. პორტფელური ინვესტიციები მიმღები ქვეყნის ამა თუ იმ კომპანიაში წილის 10%-დე ფლობას და ძირითადად ფასიანი ქაღალდების შეძენას გულისხმობს და ხშირ შემთხვევაში მოკლევადიან ინვესტიციებთან და კაპიტალის არასტაბილურ ნაკადებთან ასოცირდება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) საერთაშორისო სავალუტო ფონდის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით, გამოხატავს გრძელვადიანი ინტერესების შეძენას ერთი ქვეყნის რეზიდენტი კომპანიის მიერ მეორე ქვეყნის კომპანიაში. გრძელვადიანი ინტერესების არსებობა გულისხმობს ხანგრძლივვადიანი საქმიანი ურთიერთობების დამყარებას ამ კომპანიებს შორის, რამდენადაც ინვესტორი იძენს საწესდებო კაპიტალის 10% და მეტს და იღებს უფლებას სერიოზული ზეგავლენა მოახდინოს მიმღები კომპანიის საქმიანობაზე.

---

[3]ბარათაშვილი ე., მაგრაქველიძე დ. საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები, თბილისი 2009
http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=ekonomik&cl=CL4.2&d=HASH30e9b9383dc3dae95c178d.2.2,

საინვესტიციო ინსტრუმენტების მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემადგენლობაში შედის:

- კომპანიების მიერ სხვა ქვეყანაში საკუთარი კაპიტალის დაბანდება: ფილიალების კაპიტალი და ასევე შვილობილი ან ასოცირებული კომპანიების აქციებში არსებული წილი;
- მოგების რეინვესტირება: პირდაპირი ინვესტორის წილი საწარმოს მოგებაში, რომელიც არ ნაწილდება დივიდენდების სახით და არ გადაირიცხება პირდაპირი ინვესტორის ანგარიშზე;
- კაპიტალის შიდაკორპორაციული გადარიცხვები: ის როგორც წესი, ხორციელდება, ერთი მხრივ, პირდაპირ ინვესტორსა და მეორე მხრივ, შვილობილ ან ასოცირებულ კომპანიებს შორის, ასევე ფილიალებს შორის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თავის მხრივ კლასიფიცირდება შემდეგი ფორმების მიხედვით: "გრინფილდი" (ე.წ. მწვანე ველის ინვესტიციები), "ბრაუნფილდი", "შერწყმა" და "შთანთქმა" (M&A), ჰორიზონტალური და ვერტიკალური ტიპის ინვესტიციები. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

"გრინფილდის" ტიპის ინვესტიცია არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფორმა, რომლის დროსაც ინვესტიციები მიემართება არარეზიდენტ ქვეყანაში ახალი კომპანიების შექმნის, ან უკვე არსებული ობიექტების გაფართოებისაკენ. გრინფილდ ინვესტიციებს ახორციელებენ მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიები, რომლებიც შედიან განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე და იწყებენ იქ საწარმოების და რეალიზაციის ცენტრების მშენებლობას. ამ ტიპის ინვესტიციების დადებითი ეფექტიდან მნიშვნელოვანია ის, რომ მიმღებ ქვეყანაში იქმნება გრძელვადიანი სამუშაო ადგილები და ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს ხარისხზე და დაბალ ფასზე ორიენტირებულ კონკურენციას.

"ბრაუნფილდ" ინვესტიცია გულისხმობს ადრე არსებული დაწესებულების შეძენას იმისათვის, რომ ის სხვა საქმიანობისთვის იქნეს გამოყენებული.

“შერწყმა” და “შთანთქმა” თავის მხრივ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ორი განსხვავებული ტიპია: “შერწყმა” გულისხმობს ერთი ბიზნეს სუბიექტის წარმოქმნას ორი ან მეტი კომპანიის აქტივების და ვალდებულებების გაერთიანების საფუძველზე. “შთანთქმა” გულისხმობს უფრო დიდი სუბიექტის მიერ შედარებით მცირე ზომის კომპანიის მიერთებას. ასეთი ტიპის გარიგება უმეტეს შემთხვევებში იძულებით მიმდინარეობს. ჰორიზონტალური ინვესტიციები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ისეთი ფორმაა, როდესაც საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციები მიემართება იმავე დარგში, რომელშიც საქმიანობს კომპანია.

ამდენად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თითოეული ფორმა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიმღები ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში. მიმღები ქვეყნის სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში, ზრდის რეციპიენტი ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, ხელს უწყობს დასაქმებას და ამცირებს მასპინძელ ქვეყანაში სოციალურ უთანასწორობას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასოცირდება არა მარტო ფინანსური კაპიტალის შემოდინებასთან, არამედ განიხილება, როგორც ინსტრუმენტი, რომელსაც მიმღებ ქვეყანაში შემოაქვს ცოდნა, მართვის თანამედროვე პრაქტიკა, პროდუქციის დიზაინი, ხარისხის მახასიათებლები, ბრენდი, პროდუქციის მარკეტინგის საერთაშორისო არხები და ა.შ. შესაბამისად, ხელს უწყობს მასპინძელი ქვეყნის გლობალური წარმოების ქსელში ინტეგრაციას, რომელიც თავის მხრივ, წარმატებული საექსპორტო სტრატეგიის საფუძველს წარმოადგენს.

ამდენად, მნიშვნელოვანია ის ფაქტორები, რაც ხელს უწყობს საინვესტიციო ნაკადების ზრდას ამა თუ იმ ქვეყანაში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოტენციურ დეტერმინანტებად შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი:

- მიმღები ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბი _ როგორც წესი, დიდი ეკონომიკის ქვეყნებს დიდი ბაზრები გააჩნიათ და უცხოელი ინვესტორები ყოველთვის განიხილავენ სხვა ქვეყანაში ინვესტიციის განხორციელებას ბაზრის ზომის

გათვალისწინებით. რაც უფრო დიდია ქვეყნის ეკონომიკა, მით ნაკლებია საშუამავლო ფირმის ხარჯები და მთავრობას შეუძლია ფინანსური წახალისების შეთავაზება, რათა გამოიწვიოს მულტინაციონალური ფირმები ინვესტიციის განსახორციელებლად. მთლიანი შიდა პროდუქტი არის ერთ-ერთი მთავარი დეტერმინანტი ქვეყნის ბაზრის სიდიდის. შესაბამისად, ქვეყნებს შეუძლიათ მოიზიდონ მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თუ მათი ბაზრები საკმარისად დიდია.

- მაკროეკონომიკური სტაბილურობა - ფაქტია, რომ უცხოური ინვესტიციების მიმღები ქვეყნის მაკროეკონომიკური არასტაბილურობა მოახდენს გაურკვევლობის გენერირებას ქვეყნის შიდა ბაზარზე, რაც უარყოფითად იმოქმედებს სხვადასხვა საინვესტიციო პროექტებზე. ბევენმა და ესტრინმა (2000) შეისწავლეს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში კავშირი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და სხვადასხვა ეკონომიკურ ფაქტორს შორის და მათ შორის დადებითი კავშირი დაადგინეს. ამ კვლევის მიხედვით გარიბალდმა (2002) ივარაუდა, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე გადამწყვეტი ფაქტორი იყო მიმღები ქვეყნის დაბალი გაცვლითი კურსის რისკი;
- ინფრასტრუქტურა - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხარისხიანი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით: ტელეკომუნიკაციის, ტრანსპორტირების და ელექტროობის სფეროში.
- შრომის ღირებულება - იაფი და უნარიანი სამუშაო ძალა არის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიღების პროცესში, რადგან ის დადებით გავლენას ახდენს უცხოური ინვესტიციების მიმღები ქვეყნის წარმოების ნაყოფიერებაზე.
- გახსნილობა და ექსპორტზე ორიენტირებულობა - ექსპორტის წახალისება მნიშვნელოვან როლს თამაშობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პროცესში, ის ასევე ზრდის პროდუქციის წარმოებას მოცემულ ქვეყანაში. ქვეყნის

ეკონომიკის გახსნილობა დადებითად მოქმედებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებზე. ინვესტორებს ყოველთვის სურთ ინვესტიციები განახორციელონ ისეთ ქვეყნებში, რომლებიც მონაწილეობენ რეგიონულ სავაჭრო გაერთიანებებში და სავაჭრო შეთანხმებებში, მაგალითად, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში.[4]

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის სოციალურპოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, რადგან დიდწილად სწორედ ინვესტიციები განაპირობებენ ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას. დაბანდებების ხანგრძლივობიდან გამომდინარე, განასხვავებენ ინვესტიციების სამ კატეგორიას: 1) მოკლევადიანი - 1 წლამდე ინვესტიციები; 2) საშუალოვადიანი - 1-დან 3 წლამდე ინვესტიციები; 3) გრძელვადიანი - 3 წელზე მეტი ხანგრძლივობის ინვესტიციები.[5]

1.2 საინვესტიციო გარემოს რეგულირება

საინვესტიციო გარემო (კლიმატი), როგორც ეკონომიკური კატეგორია, წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურსა-მართლებრივი, ეკონომიკურ-გეოგრაფიული, გეოპოლიტიკურ-ეკოლოგიური და სხვა ურთიერთობების ფართო სისტემას. იგი ფორმირდება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესების და მოვლენების ზეგავლენით მართვის მაკრო, მეზო და მიკროდონეზე და ხელს უწყობს (ან ხელს უშლის) მყარი ინვესტიციური მოტივების წარმოშობას.

უკანასკნელ წლებში უცხოურ ლიტერატურაში ფართოდ განიხილება საინვესტიციო გარემოს არსისა და მისი შეფასების მეთოდოლოგიური საკითხები, რასაც სამწუხაროდ ვერ ვიტყვით ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაზე. ეს მაშინ, როდესაც ამ

[4] ფარჯიანი შ. - ეკონომიკურ ზრდაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის სტატისტიკური კვლევა - დისერტაცია თბილისი - 2016;

[5] სიხარულიძე დ. ჭარაია ვ. - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: თეორია და საქართველოს გამოცდილება თბილისი - 2018;

პრობლემის კვლევის ისტორია საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებში 30 წელზე მეტს ითვლის.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით საინვესტიციო გარემოს შეფასების პირველი გამოკვლევა ეკუთვნით ჰარვარდის ბიზნესის სკოლის თანამშრომლებს. (1969 წელი). კვლევის მეთოდიკა ითვალისწინებდა საექსპერტო სკალის გამოყენებას. იგი მოიცავდა ცალკეული ქვეყნების მიხედვით შემდეგ მახასიათებლებს: უცხოური და საკუთარი ინვესტორებისათვის საკანონმდებლო პირობები; კაპიტალის გატანის შესაძლებლობები; ეროვნული ვალუტის სიმყარე; ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია; ინფლაციის დონე; ეროვნული კაპიტალის გამოყენების შესაძლებლობა. იმის გამო, რომ გამოკვლევაში საინვესტიციო გარემოს შეფასებისათვის გამოყენებული მაჩვენებლები საკმარისი არ აღმოჩნდა ინვესტიციურ პროცესებზე მოქმედი პირობების მთელი კომპლექსის დეტალური ანალიზისათვის, საჭირო გახდა შესადარი პარამეტრების გაფართოება და რაოდენობრივ (სტატისტიკურ) მაჩვენებელთა შემოღება, რაც განხორციელდა 1981 და 1989 წლებში. ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა შემდეგი სახის პარამეტრები და მაჩვენებლები: ეკონომიკური სისტემის ტიპი; მაკრო- ეკონომიკური მაჩვენებლები (მეპ-ის მოცულობა, ეკონომიკის სტრუქტურა და სხვა); ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფა; ინფრასტრუქტურის მდგომარეობა; საგარეო ვაჭრობის განვითარების პირობები; სახელმწიფოს მინაწილეობა ეკონომიკაში.

შემდგომ, XX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში შემუშავდა პოსტსოციალისტური ქვეყნების პირობებისათვის მისასადაგებელი საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის შედარებითი შეფასების გამარტივებული მეთოდიკები. ისინი ითვალისწინებდნენ ინვესტორების არა მარტო პირობებს, არამედ შედეგებსაც, ქვეყნის სიახლოვეს მსოფლიო ეკონომიკურ ცენტრებთან, ინსტიტუციონალურ გარდაქმნებს, დემოკრატიულ ტრადიციებს, მიმდინარე რეფორმების მდგომარეობასა და პერსპექტივებს, შრომითი რესურსების ხარისხს.

საინვესტიციო გარემოს შეფასების მეთოდოლოგიის სრულყოფის თვალსაზრისით საყურადღებო პრაქტიკა აქვთ აშშ-სა და იაპონიას.

აშშ-ში საინვესტიციო გარემოს შეფასების მიზნით ისეთი ფაქტორებიც კია გამოყენებული, როგორიცაა ცალკეულ შტატებში ჩამოყალიბებული პოლიტიკური მიდრეკილებები და ეკოლოგიური მოძრაობები. საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ფაქტორების ბაზაზე აქვეყნებენ ცალკეული შტატების მიხედვით „ყოველწლიურ სტატისტიკურ რუქას“, რომელიც შეიცავს ოთხ განზოგადებულ მაჩვენებელს. ეს მაჩვენებლებია: ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობა, საქმიანი ქმედუნარიანობა, ტერიტორიის განვითარების პოტენციალი და საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი შემადგენლობები.

იაპონიაში დანერგილია საინვესტიციო გარემოს აღწერითი დახასითება მისი რაოდენობრივი შეფასების გარეშე. აღნიშნული მეთოდები შედარებით მარტივია, თუმცა სუბიექტურობის ელემენტებსაც შეიცავს.

თუ საინვესტიციო გარემოს არსის შესახებ მეცნიერთა შორის მიღწეულია ერთიანი აზრი, ეს არ შეგვიძლია ვთქვათ მისი შეფასების თეორიულ-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ საკითხებზე.

როგორც ლიტერატურულ წყაროებშია შეფასებული ამ მიმართულებით დომინირებს სხვადასხვა მიმდინარეობა.

პირველის მიხედვით საინვესტიციო გარემოს შეფასება ემყარება შემდეგ მაჩვენებელთა სისტემის ანალიზს: მშპ-ის, ეროვნული შემოსავლისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების დინამიკა; ეროვნული შემოსავლის განაწილების დინამიკა და ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში დაგროვებისა და მოხმარების თანაფარდობა;

პრივატიზაციის მიმდინარეობა; საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების მდგომარეობა; საინვესტიციო ბაზრის ცალკეული სახეების (მათ შორის საფონდო და ფულადი ბაზის) მდგომარეობა.

მეორე მიმდინარეობა ითვალისწინებს უამრავ ფაქტორთა ერთობლიობის შეფასებას, რომლებიც გავლენას ახდენენ საინვესტიციო გარემოზე. ეს ფაქტორები შვიდ გამსხვილებულ ბლოკებად არიან დაჯგუფებული, რომლებიც, თავის მხრივ, შეიცავენ მრავალ ფაქტორს. კერძოდ, ფაქტორების პირველი ბლოკი „ეკონომიკური პოტენციალის დახასიათება“ მოიცავს ხუთ ფაქტორს: რეგიონის უზრუნველყოფა რესურსებით, ბიოკლიმატური პოტენციალი, საწარმოო ინვესტირებისათვის თავისუფალი მიწების არსებობა, ენერგო და შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის დონე, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალისა და ინფრასტრუქტურის განვითარება; მეორე ბლოკი - „მეურნეობის საერთო პირობები“ მოიცავს ოთხ ფაქტორს: მატერიალური წარმოების დარგთა განვითარების ეკოლოგიური უსაფრთხოება; დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა; ძორითადი საწარმოო ფონდების ცვეთის ხარისხი; სამშენებლო ბაზის განვითარება.

მნიშვნელოვანია პოლიტიკური ფაქტორები მოიცავს სამ ჯგუფს: მოსახლეობის ნდობა რეგიონული ხელისუფლების მიმართ; ცენტრისა და რეგიონის ხელისუფლების ურთიერთობა; სოციალური სტაბილურობის დონე; ეროვნულ-რელიგიური ურთიერთობის მდგომარეობა.

ასევე განიხილება სოციალური და სოციოკულტურული, „ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ფინანსური ფაქტორები რომელიც თავის მხვრივ მოიცავს: მოსახლეობის ერთ სულზე ბიუჯეტის შემოსავლების, აგრეთვე არასაბიუჯეტო ფონდების საშუალებებით უზრუნველყოფა; ცენტრალური და რეგიონული ბიუჯეტებიდან ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა; კრედიტის ხელმისაწვდომობა უცხოურ ვალუტაში; საბანკო პროცენტის დონე; ბანკთაშორისი თანამშრომლობის განვითარება; ბანკების კრედიტები მოსახლეობის 1000 სულზე; ხანგრძლივვადიანი ხვედრითი წონა; ანაბრების მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე; წამგებიანი საწარმოების ხვედრითი წილი.

საინვესტიციო პოტენციალს აფასებენ მაკროეკონომიკური მახასიათებლების საფუძველზე, რომელიც შეიცავს: მოცემულ ტერიტორიაზე წარმოების ფაქტორების

არსებობას (მათ შორის შრომით რესურსებს მათი საგანმანათლებო დონის გათვალისწინებით); სამომხმაებლო მოთხოვნას; მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის შედეგებს; მეცნიერების განვითარებისა და მისი მიღწევების დანერგვის დონეს; საბაზრო ეკონომიკის წამყვანი ინსტიტუტების განვითარებას; კომპლექსური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

საინვესტიციო რისკები ფასდება ინვესტიციებისა და შემოსავლების დაკარგვის ალბათობის პოზოციიდან. ამ რისკებს შორის გაითვალისწინება: ეკონომიკური, ფინანსური, პოლიტიკური, სოციალური, ეკოლოგიური, კრიმინალური და საკანონმდებლო რისკები. მრავალ მაჩვენებელთა საფუზველზე ფასდება ყოველი რეგიონის რეიტინგი საინვესტიციო პოტენციალის ყოველი შემადგენელი ელემენტის და ყოველი რისკის მიხედვით.

აღნიშნული მეთოდების დადებითი მხარეების მიუხედავად, ისინი შეიცავენ მთელ რიგ უარყოფით მომენტებს, რომლებიც ფაქტიურად აძნელებენ, ან შეუძლებელსაც კი ხდიან მათ პრაქტიკულ გამოყენებას. უარყოფით მომენტებს შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა დასახელდეს შესადარ მაჩვენებელთა სიმრავლე და მათი მოპოვების, დამუშავების სირთულე, მაღალი შრომატევადობა, ამ მაჩვენებელთა ცვალებადობა დროში, მიღებული შედეგების ზოგადი ხასიათი, რომლებიც კონკრეტული ინვესტორებისათვის ხშირად არანაირ ღირებულ ინფორმაციას არ შეიცავს და სხვა.

დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში სხვადსხვა საკვლევი დაწესებულების მიერ დამუშავებულ მეთოდიკებში გამოიყენება 200-დან 400-მდე დასახელების მაჩვენებელი;

საინვესტიციო გარემოს შეფასებას ართულებს და მიღებულ შედეგებს არასაიმედოს ხდის ცალკეულ მეთოდიკებში სხვადასხვა ბლოკებში ჩართული მთელი რიგი მაჩვენებლების გამეორება.

ამას ისიც ემატება, რომ ყოველი ცალკეული მაჩვენებელი, ან მაჩვენებლთა სისტემა, უმეტეს წილად ეფუძნება რა დარგობრივი სიდიდეების ანალიზს და განზოგადებას, რომლებიც, როგორც წესი, ყალიბდებიან სხვადასხვა (დარგთა

კომპლექსის განვითარების) თავისებურებათა ზემოქმედების შედეგად, თავის თავში ასახავენ სწორედ მათი დინამიკის კანონზომიერებას, და მაშასადამე, დარგობრივი და არა მთლიანი სახელმწიფოებრივი, ან რეგიონული ინვესტიციური გარემოს ფორმირებას. სწორედ ამის გამო იზრდება ალბათობა იმისა, რომ მაგალითად, ერთი რომელიმე მაჩვენებლის (მაჩვენებელთა ნაკრების) მიხედვით ესა თუ ის ქვეყანა (რეგიონი) მივაკუთვნოთ ხელსაყრელი ინვესტიციების ზონას, ხოლო მეორე მაჩვენებლის (მაჩვენებელთა ნაკრების) მიხედვით - არახელსაყრელს. ასეთი მდგომარეობა არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ საბოლოო დასკვნა გამოვიტანოთ მაჩვენებელთა ისეთი ერთობლიობითაც კი, როგორიცაა ინვესტიციების მოცულობის დაცემა, კაპიტალური დაბანდებების ტექნოლოგიური დარგობრივი სტრუქტირა, მოსახლეობის განწყობა მთავრობის მიმართ და სხვა;

საინვესტიციო გარემოს შეფასების მთავარი დანიშნულებაა დააინტერესოს პოტენციური ინვესტორი მოცემულ ქვეყანაში, რეგიონში, კონკრეტულ პროექტში დააბანდოს თავისი სახსრები. ამდენად მისი ფსიქოლოგიური განწყობა დიდ მნიშვნელობას იძენს.

როგორც ვხედავთ, საინვესტიციო გარემოს შეფასება მეტად რთული და სიძნელეებით აღსავსე მეცნიერული და პრაქტიკული დანიშნულების სამუშაოა. ამიტომ იგი უნდა იწყებოდეს ცალკეული კონკრეტული უბნიდან და მთავრდებოდეს მთელი ქვეყნის დონეზე. იერარქიულად იგი ასე წარმოგვიდგენია: სამუშაო ადგილი - ფირმა - დარგი - სოფელი - რაიონი - ქალაქი - რეგიონი - სახელმწიფო. ყველა ამ დონეზე უნდა ჩამოყალიბდეს (დამუშავდეს) განსახორციელებელ სამუშაოთა (ღონისძიებათა) პროექტები, ბიზნეს-წინადადებები, დაჯგუფდეს ისინი პრიორიტეტულობის პოზიციიდან და საბოლოო ჯამში აისახოს ქვეყნის საინვესტიციო განზრახულობათა ნაკრებ პაკეტში.

საინვესტიციო პოლიტიკა უნდა მოიცავდეს იმ მექანიზმებისა (ფინანსურ-ეკონომიკური, ორგანიზაციულ-სამართლებრივი და სხვ) და სამეურნეო საქმიანობის რეჟიმების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნობრივი ბიუჯეტური ფინანსების (ცენტარალური და ადგილობრივი ტერიტორიული ბიუჯეტების) საწარმოთა

და ორგანიზაციათა სახსრების, უცხოური ინვესტიციების და კერძო საკუთრების სახსრების ეფექტიანად გამოყენებას.

როგორც ზემოთ მოტანილი ანალიზიდან ჩანს, საინვესტიციო გარემო ფირმის, დაბის, ქალაქის, რაიონის, რეგიონის თუ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა მხარეს მოიცავს და, ამდენად, მისი შეფასება ერთ განზომილებიანი მაჩვენებლით შეუძლებელია. ამასთან, იგი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკონომიკურ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის და სხვა არაერთგვაროვანი ფაქტორების ისეთი ერთობლიობაა, რომელთა ფონზეც მიმდინარეობს საინვესტიციო პროცესები სასურველიდან არასასურველამდე ფართო დიაპაზონში. ამდენად, საინვესტიციო საქმიანობაში ჩაბმის ყველა მსურველისათვის საინვესტიციო გარემო არ შეიძლება ერთნაირად ხელსაყრელი ან ერთნაირად არახელსაყრელი იყოს. მოცემული ფაქტორი (ფაქტორთა ერთობლიობა) მოცემულ კონკრეტულ მომენტში (დროის გარკვეულ პერიოდში) შეიძლება ერთისათვის მიმზიდველი იყოს, ხოლო მეორესათვის ნაკლებად მიმზიდველი ან საერთოდ მიუღებელი. მაგრამ, საერთო შეფასებით, მოცემული კონკრეტული სუბიექტისათვის ეს ფაქტორი (ფაქტორთა ერთობლიობა) ისეთი უნდა იყოს, რომ ხელი შეაუწყოს, სტიმული მისცეს საინვესტიციო საქმიანობაში მონაწილე ყველა სუბიექტს (ინვესტორს, ინვესტიციის მიმღებს) განახორციელოს საინვესტიციო საქმიანობა და შეამციროს საინვესტიციო რისკის ხარისხი.[6]

უნდა აღინიშნოს, რომ ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი, ხასიათდება შემდეგი ფაქტორებით: ერთ ინდუსტრიაში მაღალი დონის კონკურენციის არარსებობა; საგადასახადო სისტემის სტაბილურობა; ეფექტური და მაღალი ხარისხის სახელმწიფო მხარდაჭერა და ასევე სახელმწიფოს მიერ დროული რეგულირება; ნედლეულისა და რესურსების დაბალი ღირებულება; (შრომითი, მატერიალური და ა.შ.)

[6] თეთრუაშვილი ზ. თეთრუაშვილი ქარდავა მ. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ - ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პირობებში 2006

საინვესტიციო კლიმატის მიმზიდველობაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: ქვეყანაში არსებული არასტაბილური პოლიტიკური გარემო; ინფლაციის მაღალი დონე და რეფინანსირების განაკვეთები; სოციალური არასტაბილურობა; (გაფიცვები, აქციები და ა.შ..) ბიუჯეტის დეფიციტი; სახელმწიფო ვალის დიდი რაოდენობა, როგორც შიდა, ასევე გარე; ცუდად განვითარებული კანონმდებლობა; (კანონის შეუსაბამობა საინვესტიციო თვალსაზრისით)

ნებისმიერი ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის შეფასება შედგება საინვესტიციო პოტენციალის შეფასებისა და საინვესტიციო რისკების ანალიზისგან.

საინვესტიციო მიმზიდველობის განმსაზღვრელი ფაქტორები: ქვეყნის სავალუტო რეზერვების ზომა; გაცვლითი კურსის სტაბილურობა; ეკონომიკის დონის და ზრდის ტემპები; საბანკო სისტემის განვითარების ხარისხი; საშემოსავლო გადასახადი; ბაზარზე ფასიანი ქაღალდების ლიკვიდურობის ხარისხი; ინვესტორთა უფლებების დაცვის დონე; საპროცენტო განაკვეთების დონე;

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიმზიდველობის განმსაზღვრელი ფაქტორი ნათელს ჰფენს ქვეყნის საინვესტიციო გარემოს. მაგრამ სრული სურათის მისაღებად ეს ფაქტორები შეთავსებული უნდა იქნას საინვესტიციო რისკის გამსაზღვრელ საკანონმდებლო; ეკონომიკურ; ფინანსურ; პოლიტიკურ; სოციალური; ეკოლოგიურ; სისხლის სამართლის და სხვა ფაქტორებთან.[7]

1.3 ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა

ეკონომიკური ზრდის ცალკეული თეორიული მოდელები ხაზგასმით აღნიშნავენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით გავლენას რეციპიენტი (მიმღები) ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ისეთ მაჩვენებლებზე, მაგალითად როგორიცაა: მწარმოებლურობის ზრდა, ტექნოლოგიური პროგრესი და ა.შ.

[7] რა არის საინვესტიციო კლიმატი
http://delta-capital.ge/news/id=63

ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური მოდელის მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის ფიზიკური კაპიტალის აკუმულაციას და ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. ინტუიციურია, რომ კაპიტალის მაღალი დაგროვება ზრდის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს. თუმცა, ამავე მოდელის მიხედვით, მცხოვრებზე გაანგარიშებული ეკონომიკური ზრდის პერმანენტული და დადებითი მაჩვენებლების არსებობაში კაპიტალის დაგროვება მხოლოდ დროებითი ეფექტის მატარებელია და გადამწყვეტ როლს ტექნოლოგიური პროგრესი ასრულებს.

ზრდის ნეოკლასიკური მოდელის მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, ზრდის ინვესტიციების ოდენობას და მწარმოებლურობას მიმღებ ქვეყანაში. მაგრამ, იმავდროულად, ამ ტიპის ინვესტიციებს მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში შეუძლია გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ ზრდაზე, გრძელვადიან პერიოდში მისთვის დამახასიათებელი ფიზიკური კაპიტალის შემცირებადი შემოსავლის ბუნებიდან გამომდინარე. ზრდის ეგზოგენური მოდელის მიხედვით, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მოქმედების დონე გააჩნია მხოლოდ მდგრად მდგომარეობაში და არ ახდენს ზემოქმედებას ზრდის ტემპზე, გარდა ახალ მდგრად მდგომარეობაში გადასვლის პროცესისა.

ეკონომიკური ზრდის ენდოგენური მოდელის მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თამაშობს ერთ-ერთ მთავარ როლს. ამ მოდელის მიხედვით, პროდუქცია იქმნება წარმოების პროცესში სამუშაო ძალის და კაპიტალის გამოყენებით და შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდაზე გავლენას ახდენს სამუშაო ძალის და კაპიტალის მეშვეობით შემდეგნაირად: აძლიერებს კაპიტალს, ხარისხობრივად აუმჯობესებს სამუშაო ძალის კვალიფიკაციას, შეუძლია ახალი ტექნოლოგიების გადაცემა და ამდენად, გააჩნია სრული ფაქტორული მწარმოებლურობის ზრდის პოტენციალი. ასევე, ზრდის ენდოგენური მოდელის მიხედვით, ტექნოლოგიური პროგრესის განაკვეთი არის მთავარი ინდიკატორი წარმოების გრძელვადიანი ზრდის განაკვეთისა.

ეკონომიკურ ზრდაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის რამოდენიმე არხი არსებობს, ჩვენ, ოთხ მათგანზე შევაჩერეთ ყურადღება:

- კადრების გადამზადება _ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო კომპანიების მიერ ადგილობრივი მუშახელის გადამზადება, რაც დადებითი გვერდითი ეფექტის მატარებელია. ხშირ შემთხვევაში, უცხოური ფირმები უფრო მეტს ხარჯავენ გადამზადების პროგრამებზე ვიდრე ადგილობრივი კომპანიები. ამასთან, აღნიშნულ შემთხვევაში მანძილია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, მაგალითად: თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად ქვეყნის ერთ რეგიონში განხორციელდა, გვერდითი ეფექტებსაც ქვეყნის მხოლოდ ამ ნაწილში ექნება ადგილი ;
- კონკურენტუნარიანობა ადგილობრივ ბაზარზე – ადგილობრივ და უცხოურ კომპანიებს შორის ტექნოლოგიების ხარისხში განსხვავება თუ მაღალია, ადგილობრივი კომპანიები მათ მიერ წარმოებული პროდუქციის არაკონკურენტუნარიანი ხარისხიდან გამომდინარე ნელ-ნელა დაკარგავენ საკუთარ წილს შიდა ბაზარზე და გამოთავისუფლებულ ადგილს უცხოური კომპანიები დაიკავებენ. ამ გზით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის შიდა კონკურენციას. თუმცა, აღნიშნული ეფექტი დადებითია მიმღები ქვეყნისთვის, თუკი ტექნოლოგიური განსხვავება შიდა და უცხოურ კომპანიებს შორის არ არის ძალიან მაღალი და კონკურენცია ორივე მონაწილეს უბიძგებს დაწიონ ფასები და აწიონ ხარისხი;
- ვერტიკალური გვერდითი ეფექტი _ შუალედური საქონელი გადამწყვეტ როლს თამაშობს ადგილობრივი კომპანიების საქმიანობაში, რადგან მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყანაში წარმოების ზრდა.
- პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლია გაზარდოს ეკონომიკის ზრდის ტემპი გარე ეფექტებით, მაგალითად: ტექნოლოგიების გადაცემა-გავრცელებით, მენეჯმენტის პროცესით, იდეებით და ა.შ. გარე ეფექტებს ადგილი აქვს, როდესაც მულტინაციონალური კომპანიები სხვაგვარად ვერ ახერხებენ ადგილობრივი კომპანიების მწარმოებლურობაზე გავლენის მოპოვებას. ახალი იდეები, თანამედროვე მიდგომები მენეჯმენტში და ტექნოლოგიების გავრცელება

დადებით გავლენას ახდენს მთლიან ფაქტორულ მწარმოებლურობაზე, რაც თავისმხრივ ზრდის მთლიან გამოშვებას

ამრიგად, ჩამოთვლილი არხების მეშვეობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე მხოლოდ შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში. უცხოური ინვესტიციები ვერ იქნება მატერიალიზებული თუ მიმღებ ქვეყანას არ ექნება ისეთი ფუნდამენტური და ადექვატური წინაპირობები, როგორიცაა: კერძო და საჯარო ინფრასტრუქტურა, სათანადო გარემო ადამიანური კაპიტალის და სამართლებრივი ჩარჩოს თვალსაზრისით.

ეკონომიკურ ზრდასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის კავშირი სხვადასხვაგვარია. საქართველოს შემთხვევაში, რამოდენიმე მკვლევარი ადასტურებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით გავლენას ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე. დანარჩენი მსოფლიოს შემთხვევაში რამოდენიმე ემპირიული კვლევა ადასტურებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით და პროდუქტიულ გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე. მაგალითად, 1974 წელს ამერიკელმა ეკონომისტმა კეივზმა გამოიკვლია და დადებითი კავშირი დაადგინა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის შრომის ნაყოფიერების ეფექტის მიხედვით. გომეს ნეტომ და ვეგამ პანელური მონაცემების გამოყენებით, 1970-2009 წლების მონაცემების მიხედვით, გამოიკვლიეს 139 ქვეყანა და ემპირიული კვლევის საფუძველძე ტექნოლოგიების გავრცელების კუთხით გამოავლინეს დადებითი კავშირი. ფინდლიამ დაამტკიცა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის ტექნოლოგიურ ინოვაციებს ადგილობრივ ეკონომიკაში, აუმჯობესებს მართვის პრაქტიკას და ა.შ. ახალი იდეები, მართვის პროცესები და ტექნოლოგიების გავრცელება დადებით გავლენას ახდენს მთლიან მწარმოებლურობაზე, რაც თავის მხრივ ზრდის მთლიან გამოშვებას. უცხოურ ინვესტიციებს ტექნოლოგიების გადაცემის მეშვეობით შეუძლია გაზარდოს მწარმოებლურობა, როგორც შიდა დარგობრივი, ასევე, გარე ფაქტორების გათვალისწინებით. ინვესტიციები ზრდის ეკონომიკას თუ მიმღები ქვეყანა საკმარისად მდიდარია, რაც ნიშნავს, რომ არსებობს შემოსავლის გარკვეული გარდამავალი

ზღვარი, რომლის ზემოთაც ქვეყანას შეუძლია აითვისოს ახალი ტექნოლოგიური ინოვაციები და მაქსიმალური გახადოს მოზიდული პირდაპირი ინვესტიციებიდან მიღებული სარგებელი ქვეყნის ეკონომიკაში .

მკვლევარების ნაწილი ამტკიცებენ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე არის უარყოფითი ან არანაყოფიერი.

შეიძლება ითქვას, რიმ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე და პირიქით, ეკონომიკური ზრდა დადებითად მოქმედებს ინვესტიციების მოცულობის ზრდაზე, ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ მაღალმა შემოსავლებმა შეიძლება გამოიწვიოს მაღალი მოტივაცია და სტიმულები, რომ ინვესტორებმა განახორციელონ მეტი უცხოური ინვესტიცია.

ქვეყნის ხელისუფლებას თუ აქვს სურვილი მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას, მან უცხოელ ინვესტორებს უნდა შესთავაზოს მის კონკურენტებზე უკეთესი სტიმულები, მაგალითად, მოქნილი საგადასახადო განაკვეთები კონკრეტული დარგების მიხედვით. მაგრამ გამოცდილება აჩვენებს, რომ ხარჯებმა შესაძლოა გადაწონოს მიღებული შემოსავლები. ამდენად, მთავარი დილემმაა სწორად გაანალიზდეს დანახარჯების სარგებლიანობა. ამდენად, ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ კვლევებიდან მიღებული მთავარი გზავნილების მიხედვით ურთიერთდამოკიდებულება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის არაერთგვაროვანია, აღნიშნულის ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად ასევე სახელდება ის მექანიზმები, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ ურთიერთობაში და გადაწონის სხვა ეფექტებს.[8]

ასევე გამოიკვეთა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი ეფექტი დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის მახასიათებლებზე, როგორიცაა ადამიანისეული კაპიტალის დონე, სახელმწიფო პოლიტიკა, განვითარებული ფინანსური ბაზრები, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების დონე. პირდაპირი უცხოური

[8] ფარჯიანი შ. - ეკონომიკურ ზრდაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის სტატისტიკური კვლევა - დისერტაცია თბილისი - 2016;

ინვესტიციების გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე ისეთი მექანიზმით აიხსნება, როგორიცაა მასშტაბის, კომპეტენციების და ტექნოლოგიების გადაცემის და სტრუქტურული ეფექტი. მასშტაბის ეფექტი გულისხმობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წვლილს მიმღები ქვეყნის ეკონომიკაში კაპიტალის აკუმულაციით, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის საწარმოო ბაზის ზრდის ტემპზე. თუმცა, უცხოური კაპიტალის არაპირდაპირი გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე განისაზღვრება ტექნოლოგიებისა და მმართველობითი უნარების ტრანსფერით. ტექნოლოგიებს, რაც მიმღებ ქვეყანაში ინერგება უცხოური პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებით, შეუძლია ეკონომიკური გავლენა მოახდინოს ადგილობრივ ფირმებზე დემონსტრაციის ეფექტის, სამუშაო ძალის გადინების ან ადგილობრივ მომხმარებლებსა და მომწოდებლებთან კავშირების საშუალებით.[9]

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში საქართველოსთვის (და არამხოლოდ საქართველოსთვის) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს. ისტორიული თვალსაზრისით, არცთუ ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მთავრობებმა გაანალიზეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ჭრილში. ეს გამოწვევა განსაკუთრებით განვითარებადმა ქვეყნებმა აიტაცეს რადგანაც სწორედ ამ ტიპის ქვეყნებშია მინიმალურ დონეზე შიდა დანაზოგები, რომელიც ინვესტიციური შიმშილის დაკმაყოფილებას ვერ უზრუნველყოფს. უფრო მეტიც, ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნები, (მაგ.: საქართველო) ინვესტიციური შიმშილის მოსაკლავად, ცალკე აღებულ ტერიტორიებზე ბიზნესმენებისთვის დამატებითი შეღავათების დაწესებას ცდილობს (მაგ.: თავისუფალი ეკონომიკური ზონის დაარსების გზით), რაც, საბოლოო ჯამში, მხოლოდ ამ ტერიტორიაზე ინვესტიციების აკუმულირებას, მთელ ქვეყანაში კი ინვესტიციური შიმშილის კიდევ უფრო გაიძლიერებას უწყობს ხელს[10]

---

[9] სიხარულიძე დ. ჭარაია ვ. - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: თეორია და საქართველოს გამოცდილება თბილისი - 2018;

[10] პაპავა ვ. თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა „უკვდავი“ იდეა - თბილისი 2007;

2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საქართველოს პრაქტიკა

2.1 ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში

მსოფლიო მასშტაბით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების რაოდენობა დინამიკაში, შესაბამისობაშია არსებულ სამართლებრივ რეგულაციებთან.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე წელს დაიწყო საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების შექმნის პროცესი. კერძოდ, 1991 წლის 25 ივლისს, უზენაესი საბჭოს მიერ (იმ დროინდელი საკანონმდებლო ორგანო), მიღებულ იქნა პირველი კანონი "უცხოური ინვესტიციების შესახებ", რომელიც სამართლებრივ დონეზე არეგულირებდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საკითხებს. იმავე წლის 10 აგვისტოს მიღებულ იქნა კანონი "საინვესტიციო საქმიანობის შესახებ", რომლითაც სამართლებრივ საფუძვლებზე რეგულირდებოდა ეროვნული ინვესტიციები. 1995 წლის 30 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო უკვე მეორე კანონი "უცხოური ინვესტიციების შესახებ", თუმცა, 1996 წლის 12 ნოემბერს მიღებულ იქნა კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, რის საფუძველზეც ძალადაკარგულად გამოცხადდა წინა კანონები თავიანთი დამატებებით.

1996 წლის 12 ნოემბრის კანონის მიღებამდე საქართველოში ორიენტაცია აღებული იყო უცხოელი ინვესტორებისათვის მკვეთრად გამოხატული უპირატესი ხელშეწყობისაკენ. მაგალითად, 1995 წლის 30 ივლისის კანონით, უცხოელ ინვესტორს ენიჭებოდა მთელი რიგი საგადამხდელო და სამეურნეო ეკონომიკური ხასიათის შეღავათები, რაც ადგილობრივ ინვესტორებს უბიძგებდა საზღვარგარეთ გაეტანათ საკუთარი კაპიტალი შემდგომი რეექსპორტის მიზნით.

საქართველოს კანონი "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" საქართველოს ტერიტორიაზე თანაბარ პირობებში აყენებს, როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი ინვესტიციების მონაწილეობით საინვესტიციო საქმიანობას და უზრუნველყოფს მათი დაცვის გარანტიებს. მისი მიზანია, დაადგინოს ინვესტიციების ხელშემწყობი სამართლებრივი რეჟიმი. აღნიშნული კანონით სამართლებრივად პირველად განიმარტა საქართველოში ინვესტიციის არსი, საინვესტიციო საქმიანობის ობიექტი და სუბიექტი. კერძოდ, ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში.

ასეთი ფასეულობა ან უფლება შეიძლება იყოს:

ა) ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;

ბ) უძრავი და მოძრავი ქონება _ მიწა, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობა;

გ) მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება (მათ შორის კონცესია), პატენტი, ლიცენზია, „ნოუ-ჰაუ", გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობა;

დ) კანონით აღიარებული სხვა ქონებრივი ან ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება

აღნიშნული კანონის შესაბამისად ინვესტორად ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას საქართველოში.

უცხოელ ინვესტორად ითვლება:

ა) უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქე;

ბ) მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე;

გ) საქართველოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ.

დ) იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს საზღვრებს გარეთ.

საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტიცია შეიძლება განხორციელდეს საკუთრების ნებისმიერი ფორმის ობიექტში, რომელშიც ინვესტირება ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად აკრძალული არ არის. ამ კანონის მე-9 და მე-12 მუხლებში ჩამოთვლილ ობიექტებში ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი სპეციალური ნებართვის ან ლიცენზიის საფუძველზე. აღნიშნული კანონის მიხედვით საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტად (ინვესტორად) ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას საქარტველოში.

კანონის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური ინვესტიცია შეიძლება განხორციელდეს საკუთრების ნებისმიერი ფორმის ობიექტში, გარდა კანონით აკრძალული შემთხვევებისა (მე-9 მუხლის პირველი პუნქტით აკრძალული) (ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი სპეციალური ნებართვის ან ლიცენზიის საფუძველზე):

საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტირება აკრძალულია:

ა) ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის შექმნაში, წარმოებასა და გავრცელებაში;

ბ) ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის გამოცდის პოლიგონების მშენებლობაში;

გ) უცხო ქვეყნიდან ბირთვული და სახიფათო ნარჩენების აღდგენისა და განთავსების მიზნით შემოტანაში;

დ) ადამიანის კლონირებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებაში;

ე) ნარკოტიკული საშუალებების წარმოებაში;

ვ) დამაძინებელი ყაყაჩოს, კოკას ბუჩქისა და კანაფის მცენარის კულტივირებაში;

ზ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აკრძალულ საქმიანობაში;

თ) ტყვიაშემცველი (0,013 გრამზე მეტი ერთ ლიტრზე)მოტორული ბენზინის, ტეტრაეთილტყვიის, აგრეთვე ფალსიფიცირებული (არასტანდარტული) საყოფაცხოვრებო-კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტში ან რეალიზაციაში (იმპორტში ტეტრაეთილტყვიის ინვესტირება დაიშვება მხოლოდ წარმოების ტექნოლოგიით ნებადართულ აუცილებელ შემთხვევებში) .

ამავე კანონით, მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოსთვისაა ინვესტირება დასაშვები (კანონის მე-9 მუხლის მეორე ნაწილი):

ა) ფულადი ნიშნების, მონეტების, სახელმწიფო ჯილდოების ნიშნების, საფოსტო მარკების წარმოებაში;

ბ) ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ნაწარმის დადამღვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

გ) სამედიცინო დანიშნულების ნარკოტიკული საშუალებების იმპორტთან, ექსპორტთან, გადაზიდვასთან, საბითუმო რეალიზაციასთან და ახალი ნარკოტიკული საშუალებების შექმნასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

დ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული პრეპარატების წარმოებასთან, გადამუშავებასთან, იმპორტთან, ექსპორტთან,

გადაზიდვასთან, საბითუმო რეალიზაციასთან და ახალი სახეობების შექმნასთან დაკავშირებულ საქმიანობაში; ე) ენერგეტიკის სადისპეტჩერო საქმიანობაში.

უცხო ქვეყნისა და კერძო ინვესტორებისათვის, მართვის უფლების მინიჭების გარეშე, საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტირება დასაშვებია:

ა) საქართველოს ტერიტორიულ წყლებში და საზღვაო ნავსადგურების აკვატორიებში საზღვაოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებასთან, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და კონტროლთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

ბ) სარკინიგზო ტრანსპორტის სადისპეტჩერო საქმიანობაში;

გ) საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდების მოძრაობის რეგულირებასთან, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და კონტროლთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

დ) საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით, სამხედრო-საბრძოლო ტექნიკის წარმოებასა და რეალიზაციაში ახალი სახეობებისა და მოდიფიცირებული იარაღის შექმნასა და გამოცდაში;

ე) სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში;

ვ) სამშვიდობო დანიშნულებით ბირთვული ენერგიის გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში .

საქართველოს კანონით "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ", საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებზე და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა. ამასთან, ინვესტორი ვალდებულია საქმიანობას ეწეოდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესაბამისად.[11]

[11] საქართველოს კანონი "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ

1994 წლის 21 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი “საზღვარგარეთის ქვეყნებისა და კომპანიებისათვის კონცესიების გაცემის წესის შესახებ”, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე უცხოელი ინვესტორებისათვის ბუნებრივი რესურსების დამუშავებისა და მასთან დაკავშირებული სხვა სახის სამეურნეო საქმიანობაზე კონცესიების გაცემის საერთო პრინციპებსა და წესს.

მოცემული კანონით, საკონცესიო ურთიერთობის კონკრეტული პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების საფუძველზე. საკონცესიო ხელშეკრულების დადება არ იწვევს ბუნებრივ რესურსებსა და სამეურნეო ობიექტებზე საკუთრების უფლების გადაცემას. საკონცესიო ხელშეკრულებას უცხოელი ინვესტორები დებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული უფლებამოსილ ორგანოსთან, ან მის მიერ უფლებამოსილ ორგანოსთან. კონცესიონერები შეიძლება იყვნენ უცხოეთის იურიდიული და ფიზიკური პირები, უცხოეთის სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები. კონცესიორის. კონცესიორის მიერ, საკონცესიო ხელშეკრულების განხორციელებით მიღებული პროდუქცია და შემოსავალი, რომელიც რჩება სავალდებულო გადასახადების შემდეგ, მისი საკუთრებაა. კონცესიორის საკუთრებაა მატერიალური და ყველა სხვა ფასეულობა, რომელიც არ შედიოდა გადაცემული ობიექტის შემადგენლობაში და საქართველოში ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, 2002 წლის 19 ივნისს მიღებულ იქნა კანონი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ. კანონი განსაზღვრავდა სახელმწიფო საწარმოო-საინვესტიციო პოლიტიკის სფეროში არსებული საჯარო მიზნების განხორციელების სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებსა და მათი განხორციელების კონკრეტულ მექანიზმს.

თუმცა საქართველოს მთავრობის მიერ 2017 წლის 22 ივნისის N300 დადგენილების საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო სამართლის

იურიდიული პირის "საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს" ლიკვიდაციის შესახებ.

საინვესტიციო საქმიანობის და მათ შორის, უცხოური ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის მიმართულებით, კიდევ ერთი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა 2006 წლის 30 ივნისს, როდესაც მიღებულ იქნა საქართველოს კანონი "ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ". ამ კანონის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით.

ამ კანონითვე არის დადგენილი სპეციალური ნორმები და ხელშემწყობი ღონისძიებები განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების წახალისებისათვის.

მოცემული კანონით, ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა, ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის სფეროში კი საქართველოს მთავრობის წარმომადგენელია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აწარმოე საქართველოში.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აწარმოე საქართველოში უფლება აქვს, იყოს ინვესტორის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სხვა პირებთან ურთიერთობებში. რისთვისაც ინვესტორსა და აწარმოე საქართველოში შორის იდება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს წარმომადგენლობის ფარგლებს. ინვესტორსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აწარმოე საქართველოში შორის დადებული ხელშეკრულებით საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აწარმოე საქართველოში ეხმარება ინვესტორს საინვესტიციო საქმიანობისათვის საჭირო ყველა ლიცენზიის ან/და ნებართვის აღებაში ან სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაში. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აწარმოე საქართველოში უფლებამოსილია აღნიშნული საქმიანობა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში ანაზღაურებად საწყისებზე

განახორციელოს. მომსახურების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება ინვესტორის წარმომადგენლობა განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებით. მომსახურების საფასურის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

აწარმოე საქართველოსთან შეთანხმება არ ზღუდავს ინვესტორს, ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოებთან უშუალოდ ან სხვა წარმომადგენლის მეშვეობით განახორციელოს.

ამავე კანონით ინვესტორს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს ნებისმიერი ლიცენზიის/ნებართვის (მათ შორის, წინასწარი ლიცენზიის/ნებართვის) გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში მეშვეობით;

ბ) მოითხოვოს ქონების შეძენა და მასთან დაკავშირებული ყველა პროცედურის განხორციელება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში მეშვეობით;

გ) მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება მისთვის ლიცენზიის/ნებართვის (მათ შორის, წინასწარი ლიცენზიის/ნებართვის) გაცემას და ქონების შეძენას, ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

დ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიებით. კანონით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის მიზნით ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან, ითანამშრომლონ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – აწარმოე საქართველოში და ინვესტორთან.

საქართველოს კანონის „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ შესაბამისად ინვესტორს, რომელიც გეგმავს, საქართველოში განახორციელოს ინვესტიცია, რომლის საერთო რაოდენობა აღემატება 8 მილიონ ლარს ან რომელიც ფუნქციონალური და სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, უფლება აქვს,

საქართველოს მთავრობისაგან მოითხოვოს თავის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მინიჭება.

საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსი მიანიჭოს მაღალმთიან რეგიონებში განხორციელებულ ინვესტიციას, რომლის საერთო რაოდენობა აღემატება 2 მილიონ ლარს ან რომელიც ფუნქციონალური და სტრატეგიული თვალსაზრისით დადებით ზეგავლენას ახდენს ადგილობრივი ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მინიჭება ხდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით.[12]

აქვე უნდა ვახსენოთ იმის შესახებ, რომ უცხოელ ინვესტორს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს საქართველოს ლიბერალური სავაჭრო რეჟიმებით, მათ შორის, ისარგებლოს 900 მილიონიან ბაზარზე წვდომის შესაძლებლობით თავისუფლად, საბაჟო გადასახადების გარეშე. შეგვიძლია გამოვყოთ ძირითადი ტიპის პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები, ესენია:

- ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA WITH EU). საქართველო ამ შეთანხმების ბენეფიციარი გახდა 2014 წლის 27 ივნისიდან, და გულისხმობს საქართველოში წარმოებული პროდუქციის შესვლას ევროკავშირის ბაზარზე, საბაჟო გადასახადების გარეშე;
- საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრობა 2000 წლიდან;
- შეღავათიანი რეჟიმი შემდეგი ქვეყნის ბაზრებზე: აშშ, კანადა, იაპონია, ნორვეგია, შვეიცარია. აღნიშნული გულისხმობს, მინიმალურ ტარიფებს საქართველოდან ექსპორტირებულ 3400 დასახელების საქონელზე;
- ორმხრივი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება (FTA) 12 ქვეყანასთან, მათ შორის მეზობელ და დსთ-ს წევრ ქვეყნებთან.

[12] საქართველოს კანონი- საქართველოში ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები ფისკალური რეფორმის მიმართულებით. გატარდა რადიკალური ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში, 2005 წლის იანვრიდან ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის მიხედვით შემცირდა გადასახადების ოდენობა, გამარტივდა ადმინისტრაციული მექანიზმები, ჩამოყალიბდა მყარი სამართლებრივი ბაზა ლეგალური ბიზნესის მხარდაჭერისათვის. გადამხდელების მიმართ გამკაცრდა კონტროლის მექანიზმები. შემოღებულ იქნა საგადასახადო დავების წარმოების წესი. არსებული 21 გადასახადიდან რაოდენობა შემცირდა 6-დე. ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების შემდგომ პერიოდში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შესანარჩუნებლად ინვესტორებისა და ექსპორტის წახალისების მიზნით განხორციელებული ცვლილებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2007 წლიდან ასევე მოხდა გადასახადების ლიბერალიზაცია და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

ასევე, უნდა აღინიშნოს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების "სტრატეგია 2020" და მთავრობის სამოქმედო გეგმები მათში დეკლარირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პრიორიტეტულობის შესახებ და ამასთან, უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ასე მაგალითად: სტრატეგიის მიხედვით გათვალისწინებულია შემდეგი:

- ფინანსების ხელმისაწვდომობის ზრდისათვის, შიდა დანაზოგების სტიმულირებასთან ერთად, საჭიროა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. უცხოური კაპიტალის შემოდინება, თავის მხრივ გააიაფვებს საკრედიტო რესურსს და გაზრდის ფინანსებზე ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, გაიზრდება ინვესტიციების მოცულობა ქვეყანაში;
- ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იქნება ეკონომიკური დიპლომატიის ეფექტიანი განხორციელება. ამ მიზნით ხელი შეეწყობა

საქართველოს საინვესტიციო და ბიზნესგარემოს პოპულარიზაციას საზღვარგარეთ; უცხოური ინვესტიციების, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შემოსვლას; ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციასა და ქართული ექსპორტის ზრდას;

- ასევე პრიორიტეტულია, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ფარგლებში, ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან დაახლოება. შესაბამისი რეფორმებისა და რეგულაციების ცვლილებებით მოხდება ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ხელშეწყობა, ბაზრის ლიბერალიზაცია და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს რეგიონულ ვაჭრობის განვითარებას, სატრანზიტო და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას;
- ენერგიის იმპორტის შემცირების და ენერგოდამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით, მოხდება სახელმწიფოს მხრიდან ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების საშუალებით ენერგეტიკული პროექტების ხელშეწყობა,აქცენტით ადგილობრივი ენერგორესურსების ათვისებაზე.

ამდენად, მიუხედავად უკვე არსებული არაერთი სამართლებრივი დოკუმენტისა, ვფიქრობთ, ინვესტიციების ხელშეწყობის პირობების გაფართოებისა და მათი დაცვის გაძლიერების ღონისძიებების დამუშავებისას, საქართველოს კანონმდებლობა უფრო მეტად უნდა დაუახლოვდეს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს.[13]

2.2 საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით უცხოური ინვესტიციები იყოფა სამ ძირითად ნაწილად: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, პორტფელური ინვესტიციები და სხვა ინვესტიციები. საქართველოში მისი გაანგარიშება

[13] ფარჯიანი შ. - ეკონომიკურ ზრდაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის სტატისტიკური კვლევა - დისერტაცია თბილისი - 2016;

1997 წლიდან ხორციელდება. პირდაპირი ინვესტორის როლში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური პირები, კორპორირებული ან არაკორპორირებული კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები“. საქსტატში, 2007 წლამდე მონაცემები მუშავდებოდა მხოლოდ ქვეყნების ჭრილში, 2007 წლიდან შესაძლებელი გახდა საწარმოები დაყოფილიყო საქმიანობის სფეროების მიხედვით, ხოლო 2009 წლიდან ხელმისაწვდომია ინფორმაცია რეგიონების შესახებაც. საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში ადგილმდებარეობითა და იაფი მუშახელით გამოირჩეოდა. შესაბამისად, საქართველოში ინვესტიციები თითქმის მთლიანად რეგიონული მნიშვნელობის გაზსადენებსა თუ მილსადენებში ხორციელდებოდა, რის შედეგადაც საერთაშორისო ორგანიზაციებმა მაქსიმალურად გამოიყენეს საქართველოს ადგილმდებარეობის უპირატესობა. მომდევნო ეტაპზე, უცხოურმა კომპანიებმა საქართველოში საკუთრების უპირატესობის გამოყენებაც შეძლეს, ზემო ორი უპირატესობის მოპოვების გზით კი მათ ინტერნალიზაციის უპირატესობის მოპოვებაც შეძლეს რამაც, თავის მხრივ, სხვადასხვა დარგებში, უფრო მსხვილი ინვესტიციების მოზიდვა განაპირობა. საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაქსიმალური რაოდენობა 2017 წელს დაფიქსირდა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების შესაბამისად 2008 წლიდან 2013 წლის ჩათვლით შესამჩნევია პუი-ს აშკარა ვარდნა. ხოლო 2014 წლიდან კვლავ იზრდება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში საქართველოს გეოეკონომიკური მდებარეობა მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისთვის. ჩვენ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მოემართებოდა ე.წ. “აბრეშუმის გზა” ინდოეთიდან და ჩინეთიდან - ევროპისაკენ. საქართველო თანამედროვე პირობებშიც საკვანძო დამაკავშირებელი ხიდია ევროპააზიისათვის. საქართველოს ტერიტორიაზე გავლით განხორციელდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო საინვესტიციო პროექტი. საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობა დიდია. სარკინიგზო და საავტომობილოო მაგისტრალების გარდა, საქართველოზე გადის მნიშვნელოვანი ნავთობსადენები და აირსადენები. კერძოდ:

1) ბაქო-სუფსის ნავთობსადენი. იგი საერთაშორისო ნავთობ-კონსორციუმის მიერ განხორციელებული პირველი ინვესტიციაა საქართველოში.

2) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი. იგი კასპიის და ხმელთაშუა ზღვებს შორის ნავთობის ტრანსპორტირების პირველი და უმოკლესი მარშრუტია.

3) ბაქო-თბილისი-ერზრუმი გაზსადენი. შაჰდენიზის გაზსადენი (ასევე სამხრეთ კავკასიის გაზსადენი) — ბუნებრივი აირის სატრანსპორტო მილსადენია შაჰდენიზის გაზის ბაქნის აზერბაიჯანის სექტორიდან საქართველოს გავლით თურქეთში.

4) ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის საინვესტიციო პროექტი. პროექტი აერთიანებს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სარკინიზო ხაზებს.

თვალსაჩინოებისათვის ცხრილებისა და დიაგრამების მეშვეობით უკეთ იქნება წარმოდგენილი საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ცხრილი №1 ში მოცემულია საქართველოში 2006 – 2018 წლებში კვარტალურად განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ ინფორმაცია.

ცხრილი №1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში 2006 – 2018 (მლნ. აშშ დოლარი)

წელი	I	II	III	IV	სულ
2006	145.2	318.0	332.4	375.5	1 171.2
2007	330.8	366.5	468.9	586.4	1 752.6
2008	539.5	605.4	134.9	290.0	1 569.7
2009	113.3	177.1	179.0	194.8	664.2

2010	176.1	211.4	236.4	221.2	845.1
2011	222.5	270.9	306.8	329.6	1 129.9
2012	295.5	246.8	219.5	261.2	1 022.9
2013	290.3	216.4	265.8	248.0	1 020.5
2014	326.6	209.7	740.5	540.9	1 817.7
2015	335.0	483.0	515.9	331.7	1 665.6
2016	378.8	411.5	491.7	283.7	1 565.8
2017	393.6	355.8	622.8	522.2	1 894.5
2018*	300.1	390.4	344.7	197.1	1 232.4
2019*	281.1				281.1

*წინასწარი მონაცემები

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში 2018 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1 232.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 34.9 პროცენტით ნაკლებია 2017 წლის შესამამის მაჩვენებლებზე. ხოლო 2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით 2019 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 6,3% პროცენტიანი კლება დაფიქსირდა, შემცირების გამომწვევ მიზეზებს შორის აღსანიშნავია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება, ასევე რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში, ასევე არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება (სასესხო დავალიანების დაფარვა).[14]

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2010-2019 წლებში.

დიადრამა №1

[14] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2010-2019 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები

აღსანიშნავია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტირება საქართველოში, რომლის წილმა 2018 წელს მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 45.3 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა №2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და რეინვესტიცია საქართველოში 2013-2018 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)



პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი ნაკადი 2017-2018 წელს საფინანსო სექტორშია, მას მოჰყვება ტრანსოორტის სფერო თუმცა აღსანიშნავია, რომ ტრანსპორტის სფეროში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა 2015 – 2017 წლებში გაცილებით მეტი იყო ვიდრე 2018 წელს. კლება შეინიშნება ენერგეტიკის მიმართულებით,მას მოჰყვება დამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც 2015-2017 წლებთან შედარებით გაზრდილია ამ მიმართულებით განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა. მას მოყვება მშენებლობა უძრავი ქონება, სასტუმროები და რესტორნები, სამთომომპოვებითი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, თევზჭერა ჯანმრთელობის დაცვა და სოც.დახმარება, კავშირგაბმულობისა და სხვა დანარჩენი სექტორებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესაბამისად, 2018 წელს სამი უმსხვილესი სექტორის წილმა 52.3 პროცენტი შეადგინა. ყველაზე დიდი მოცულობის ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 277.9

მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 22.5 პროცენტია. მეორე ადგილზეა ტრანსპორტის სექტორი 209.9 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - ენერგეტიკის სექტორი,157.2 მლნ. აშშ დოლარით.

ცხრილი №2.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2015-2018 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)

	2015	2016	2017	2018*
სულ	1665.6	1565.8	1894.5	1232.4
მათ შორის:				
საფინანსო სექტორი	202.0	141.1	302.6	277.9
ტრანსპორტი	608.1	576.0	472.6	209.9
ენერგეტიკა	123.7	145.0	224.1	157.2
დამამუშავებელი მრეწველობა	98.4	125.6	98.6	142.3
მშენებლობა	143.6	168.7	283.1	103.6
უძრავი ქონება	91.4	49.6	182.2	90.0
სასტუმროები და რესტორნები	141.4	56.1	72.2	72.3
სამთომოპოვებითი მრეწველობა	88.0	49.7	51.8	66.7
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	18.6	8.4	12.4	15.9
ჯანმრთელობის დაცვა და სოც. დახმარება	140.3	29.5	7.2	13.2
კავშირგაბმულობა	-20.6	59.7	17.0	-35.2
დანარჩენი სექტორები	30.8	156.3	170.7	118.7

*წინასწარი მონაცემები.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2018 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტულად შემდეგნაირად ნაწილდება: საფინასო სექტორი 22.5%, ტრანსპორტი17.0%, ენერგეტიკა 12.8%, დამამუშავებელი მრეწველობა 11.5%, მშენებლობა 8.4%, უძრავი ქონება 7.3%, სასტუმროები და რესტორნები 5.9%, სამთომოპოვებითი მრეწველობა 5.4% ხოლო დანარჩენი სექტორის წილმა შეადგინა 9.1%. ეკონომიკური ექტორების მიხედვით 2018

წელს განხორციელებული უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამა №3;

დიაგრამა №3

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2018 წელს[15]



დაახლოებით თვრამეტი-ოცი წლის წინ პუი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ძირითადად ორიენტირებული იყო ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე 2006 წლამდე განხორციელებული ინვესტიციები საქართველოში დაკავშირებული იყო ბუნებრივ რესურსებთან (მილსადენით ნავთობისა და გაზის ტრანზიტთან). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყოფილი სსრკ-ს წევრები განსაკუთრებით მიმზიდველები იყვნენ ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული პუი-ს მოზიდვის თვალსაზრისით. უცხოელი ინვესტორები ბაზრის ათვისების თვალსაზრისით ევროპულ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს დაახლოებით თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ბუნებრივ რესურსებზე ორიენტირებული პუი-ს თვალსაზრისით პოსტსაბჭოთა ქვეყნები ლიდერობდნენ, ხოლო შრომითი ბაზრის ეფექტიანობის თვალსაზრისით ევროკავშირის წევრი ქვეყნები.

[15] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეფექტიანობაზე ორიენტირებული პუის შემთხვევაში, ინვესტორი ცდილობს გამოიყენოს კონკურენტული უპირატესობა, რომელიც მას სხვა ინვესტორებთან შედარებით აშკარა პრივილეგიას მიანიჭებს. აღსანიშნავია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები ყველაზე ნაკლებად ამ სახის პუი-ს იზიდავენ.

საქართველოში 2018 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები შემდეგნაირად განაწილდა.

ცხრილი №3.

ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2018 წლის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2014	2015	2016	2017	2018*
სულ	1 817.7	1 665.6	1 565.8	1 894.5	1 232.4
მათ შორის:					
აზერბაიჯანი	340.5	581.6	558.5	465.0	240.0
გაერთიანებული სამეფო	108.9	398.8	105.5	247.4	203.7
ნიდერლანდი	376.8	158.5	72.3	356.7	167.9
აშშ	184.7	20.7	58.4	79.7	103.7
პანამა	70.7	9.5	75.9	52.8	74.7
ჩეხეთი	52.0	16.7	87.0	142.5	72.3
ჩინეთი	220.1	66.9	25.5	40.3	65.4
კორეა	0.6	29.9	29.7	36.2	63.2
რუსეთი	87.9	51.4	36.0	43.7	60.1
დანარჩენი ქვეყნები	375.6	331.5	517.1	430.0	181.5

*წინასწარი მონაცემები.

სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, 49.6 პროცენტი შეადგინა. პირველ ადგილზეა აზერბაიჯანი 19.5 პროცენტით, შემდეგ - გაერთიანებული სამეფო 16.5 პროცენტით, ხოლო მესამეზე - ნიდერლანდები 13.6 პროცენტით. სრულად პროცენტული განაწილება წარმოდგენილია დიაგრამა №3- ზე.

ხოლო 2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა არის ირლანდია, რომლის პროცენტულმა წილმაც შეადგინა 47,4%.

დიაგრამა №4

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2018 წელს[16]



პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, როგორც არაერთხელ ვახსენეთ მიმღები ქვეყნის ეკონომიკისათვის შეიძლება იყოს, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი შედეგის მომტანიც, თუმცაღა ეკონომისტების დიდი ნაწილი თანხმდება იმაზე, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას მოაქვს დადებითი ეფექი მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. ამ ჭრილში მნიშვნელოვანია განვიხილოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული წილი მშპ-სთან მიმართებაში. დიადრამა №5-ზე მოცემულია 2010 – 2018 წლებში მშპ-ში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი.

[16] საქსტატი

დიაგრამა №5

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მშპ-ში



[17]

პირდაპირი უცხუოური ინვესტიციები სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად გავლენას ახდენს ეროვნულ ვალუტაზეც ქვემოთ მოცემული დიაგრამის მეშვეობით კარგად ჩანს თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია უცხოურ ინვესტიციებს საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე, მოგეხსენებათ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად დოლარის სახით შემოდის შესაბამისად რაც უფრო ინვესტიცია შემოდის ეს ხელს უწყობს ლარის გაცვილითი კურსის სტაბილურობას, ბოლო წლების სტატისტიკურ მონაცემებზე დაკვირვებით კარგად ჩანს, რომ 2006 წლიდან მოყოლებული, როდესაც უცხოური ინვესტიციების შემოდინება იზრდება პარალელურად ლარი აშშ დოლართან მიმართებიით ინარჩუნებს სტაბილურობას და ეს კარგად ჩანს 2006-2013 წლების მონაცემებში, თუმცა აღსანიშნავია რომ 2014 წლიდან

[17] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

უცხოური ინვესტიციების ზრდის პარალელურად ლარი კარგავს სიმყარეს და ეს სხვაობა საგრძნობლად გაიზარდა 2015 წლისათვის. სტატისტიკურ მონაცემებს თუ დავაკვირდებით 2017 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ისტორიული მაქსიმუმი დაფიქსირდა, მაგრამ ამას უკუკავშირი მაინც არ გამოუწვევია და 2018 წელს კი ინვესტიციების შემცირებასთან ერთად ლარი დოლართან მიმართებაში კიდევ უფრო გაუფასურდა.

დიადრამა №6

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ლარის გაცვლითი კურსის ურთიერთდამოკიდებულების დინამიკა 2006- 2019 წლები



უმუშევრობის დონის შემცირება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის ყოველთვის დიდ გამოწვევად რჩებოდა მათ შორის არის საქართველო, რომელიც ახერხებს ქმედითი ნაბიჯების გადადგმას მის შესამცირებლად, მნიშვნელოვანი ფაქტორი რომელიც დასაქმებაზე ახდენს არაერთგვაროვან გავლენას არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვემოტ მოყვანილი დიაგრამის საშვალებით შეიძლება ითქვას, რომ 2012 წლიდან როდესაც უმუშევრობის დონე შეადგენდა 17,2%-ს

ინვესტიციების ნაკადის ზრდასთან ერთად მცირდება უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი და მიუხედავად იმისა, რომ 2018 წელს დაფიქსირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება ამას უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია და ბოლო წლების განმავლობაში ყველზე ნაკლები 12,7 % უმუშევრობა დაფიქსირდა, თუმცაღა ეს არ გვაძლევს დამშვიდების საშვალებას და უფრო მეტი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ გაიზარდოს უცხოური ინვესტიციების შემოდინება და შემცირდეს ქვეყანაში უმუშევრობის დონე.

დიადრამა №7

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და უმუშევრობის დონე 2012-2018 წლებში



საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარება სჭირდება. ამისთვის კი ყოველწლიურად უფრო მეტი პუი უნდა შემოვიდეს, ვიდრე ბოლო წლებში შემოდის. ბოლო წლებში შემოსული პუი-ს მოცულობა საშუალო მოცულობად შეიძლება მივიჩნიოთ. მართალია, დღეს მსოფლიოში საინვესტიციო ბუმი არ არის, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მეტი ინვესტიციის მოზიდვა არ შეგვიძლია, თუკი უკეთესი ბიზნესგარემო გვექნება.

2.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედარებითი ანალიზი

მიუხედავად იმისა, რომ ყველა განვითარებადი ქვეყნისთვის პრიორიტეტულია უცხოური ინვესტიციები, მათი მოზიდვის ორი ალტერნატიული გზა არსებობს. პირველ შემთხვევაში, მთავრობები ცდილობენ, ინვესტორები ყველანაირი სატყუარით მიიზიდონ და სთავაზობენ მათ განსაკუთრებულ პრივილეგიებს. მეორე გზა კი ზოგადად, ქვეყანაში მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნაა როგორც ლოკალური, ისე უცხოელი ინვესტორებისთვის.

ესტონეთში მიწის გაყიდვის კანონის მიღების შემდეგ, უცხოელმა ინვესტორებმა ბევრად უფრო დაცულად იგრძნეს თავი. ამ კანონმა სულ სხვა დონეზე აიყვანა მათი საკუთრების დაცულობა. გარდა ამისა, გაუქმდა ზოგიერთი უცხოელი ინვესტორის განსაკუთრებული პრივილეგიები, რამაც მეტი კონკურენცია გააჩინა. 1993-94 წლებში ესტონეთი, რომელიც მანამდე არავისთვის იყო ცნობილი, ყურადღების ცენტრში მოექცა და ინვესტიციების ბუმი დაიწყო. მთავრობა სისტემატურად ზრუნავდა ესტონეთის რეპუტაციაზე ქვეყნის საზღვრებს გარეთ, რამაც დამატებით შეუწყო ხელი უცხოური ინვესტიციების მკვეთრ ზრდას.

შედეგად, 90-იან წლებში ესტონეთმა ერთ სულ მოსახლეზე ბევრად მეტი უცხოური ინვესტიცია მიიღო, ვიდრე სხვა ნებისმიერმა ცენტრალურმა და აღმოსავლეთევროპულმა ქვეყანამ. ინვესტიციების ასეთმა მასიურმა შემოდინებამ გააჩინა სრულიად ახალი ან ჩაანაცვლა ძველი სამუშაო ადგილები. ძველი ქარხნები განახლდა, ხოლო ქვეყანაში ახალი ცოდნა და ტექნოლოგიები შემოვიდა. ამ ყველაფერმა ესტონეთი ბევრად უფრო თანამედროვე და კონკურენტული ქვეყანა გახდა. ესტონეთმა დაამარცხა კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული. ესტონეთმა გააუქმა ყველა სახელმწიფო ბანკი და გზა დაუთმო კერძო ბანკებს. ბანკები კონკურენციაში უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთთან და ჩვენ არ ვერეოდით, თუნდაც რომელიმე ბანკი გაკოტრებულიყო. დღეს ესტონეთს ბალტიისპირეთში ყველაზე

ეფექტური, ხოლო ევროკავშირში ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული საბანკო სისტემა აქვს.

ესტონური სასწაულს მხოლოდ 15 წელიწადი გახდა საჭირო, რომ რადიკალური რეფორმების პირობებში, ესტონეთი ისე შეცვლილიყო, რომ კომუნისტური პერიოდის შემდეგ ვეღარ გეცნოთ.

ესტონეთში სიღარიბე და უთანასწორობა მცირდება. გაეროს კაცობრიობის განვითარების ინდექსის მიხედვით, ესტონეთმა ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ჯგუფიდან განვითარებული ქვეყნების ჯგუფში გადაინაცვლა, უმუშევრობისა და ინფლაციის დონე დაბალია, ცხოვრების დონე კი მკვეთრად უმჯობესდება. ბიუჯეტი დაბალანსებულია და გადაჭარბებით სრულდება. ქვეყანა დღეს ნატოს და ევროკავშირის წევრია.

ამ ცვლილებების შედეგად, ესტონეთი ბევრად უკეთ მოემზადა 21-ე საუკუნისთვის. ერმა უდიდესი ნახტომი გააკეთა თანამედროვე ტექნოლოგიების და ელექტრონული მმართველობისკენ. ესტონელები ფინანსური ტრანზაქციების დიდ ნაწილს ინტერნეტით ახორციელებენ, ხოლო საგადასახადო დეკლარაციის მომზადება და გაგზავნა ელექტრონულად არის შესაძლებელი. ყველაზე შთამბეჭდავი კი ის არის, რომ საგადასახადო ფორმის შევსება სულ 5 წუთს მოითხოვს.[18]

რეინვესტირების შემთხვევაში მოგების გადასახადისგან გათავისუფლებამ ესტონეთის ბიზნესგარემო მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. დღეს ბალტიის ამ ქვეყანას მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიანი საგადასახადო სისტემა აქვს, თუმცა ეკონომიკის განვითარებისა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიზნით ესტონეთში არაერთი თანმდევი რეფორმა გატარდა. ერთ-ერთი პირველი საჯარო სექტორში ბიუროკრატიის შემცირება იყო.

---

[18] ლაარი მ. სტატია ესტონეთის ეკონომიკური სასწაული თარგმანი ჯიბლაძე გ. 30.04.2018 https://on.ge/story/6415-%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98?fbclid=IwAR1sYtFdi6Sm_GzR7j6RfcwYbeGBPHyTlvNuzf32aEzfWqlvVf64f9_ZFUs

დამოუკიდებლობის რამდენიმე წელი ესტონეთისთვის საკმარისი აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი ძლიერი ეკონომიკა შეექმნა. დღეს ესტონეთს „ბალტიის სასწაულს“ უწოდებენ. 2019 წლის მონაცემებით, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით ესტონეთი მე-13 ადგილზეა, ბიზნესის სიმარტივის კუთხით კი მე-16 ადგილს იკავებს. მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიანი საგადასახადო სისტემა დღეს სწორედ ესტონეთს აქვს.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ესტონეთში არაერთი საგადასახადო რეფორმა გატარდა, ყოველი მომდევნო ცვლილება კი ქვეყანაში საგადასახადო სისტემის კიდევ უფრო ლიბერალიზაციას ითვალისწინებდა. 2000 წელს გატარებულმა რეფორმამ ესტონეთში არსებულ ბიზნესგარემოსა და ინვესტიციების მოზიდვაზე მყისიერად იმუშავა. ბიზნესი რეინვესტირების შემთხვევაში მოგების გადასახადისგან გათავისუფლდა და მხოლოდ განაწილებული მოგება დაიბეგრა 20%-ით. ესტონური მოდელი ბევრი ქვეყნისთვის აღმოჩნდა საინტერესო.

დიადრამა №8

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ესტონეთში 2010-2018 წლები (მლნ ევრო)



[19]

[19] ესტონეთის ცენტრალური ბანკის სტატისტიკა http://statistika.eestipank.ee/#/en/p/146/r/1873/1721

ესტონეთში ინვესტიციების შედინება ხდება ევროკავშირის 28, ევროზონის 19, დსთ-ს და ოთშორული ქვეყნებიდან. 2018 წლის მონაცემების შესაბამისად კი ესტონეთში უმსხილესი ინვესტორი ქვეყანა იყო შვედეთი რომელზეც მთელი ინვესტიციების 25 მოდის, ასევე ფინეთი რომლის წილმა საერთო უცხოური ინვესტიციების 24% შეადგინა, ხოლო დანარჩენი ქვეყნების წილი იხილეთ დიაგრამაზე

დიაგრამა №9

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ესტონეთში 2018 წელს



ესტონეთში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სხვადასხვა სექტორისკენ არის მიმართული თუმცა მათგან ყველაზე დიდი წილი 30,7% მოდის ფინანსებზე და სადაზღვეო საქმიანობაზე, უძრავი ქონება 17,8%, წარმოება 12,9%, საკმაოდ დიდი ოდენობით ინვესტიცია არის მიმართული საბითუმოდა საცალო

ვაჭრობის, ავტომობილებისა და მოტოციკლების შეკეთების მიმართულებით. დეტალურად იხილეთ დიაგრამა.

დიაგრამა №10

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2018 წელს



დღეს საქართველოში 6 ტიპის გადასახადი მოქმედებს ამ მხვრივ საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც ბიზნესს ესტონეთის მსგავსად არადამამძიმებელი საგადასახადო ტვირთი აქვს.

ესტონეთის ერთ-ერთი პირველი რეფორმა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სწორედ ბიუროკრატიას ეხებოდა, შემცირდა სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, შესაბამისად შემცირდა საჯარო სექტორისთვის გამოყოფილი ხარჯებიც.

ბიზნესის განვითარების მიზნით დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მალევე ესტონეთმა პრივატიზაციის პროგრამა დაიწყო. ეს პროცესი ფაქტობრივად დასრულებულია. ძალიან ცოტა კომპანია თუ საწარმო რჩება დღემდე ესტონეთში სახელმწიფოს სრულ მფლობელობაში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ინვესტიციების მოზიდვის გზაზე მიწის აღრიცხვასთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხება.

ესტონეთში ჩატარებული არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ ბალტიის ქვეყანაში ბიზნესის წარმატებას უმეტესწილად ხელისუფლებასა და კერძო სექტორს შორის სწორი კომუნიკაცია განაპირობებს. ნებისმიერ მოქალაქეს ესტონეთში კომპანიის დაფუძნება ონლაინ - 5 წუთზე ნაკლებ დროში შეუძლია. ესტონეთი არ აწესებს კონტროლსა და რაიმე სახის აკრძალვას უცხოურ ინვესტიციებზე. უცხოური კაპიტალდაბანდებების მოცულობა არ არის ლიმიტირებული, კომპანია შეიძლება, 100 პროცენტით სხვა ქვეყნის მოქალაქის მფლობელობაში იყოს. არაესტონური კომპანია ქვეყანაში ზუსტად იმავე უფლებებით სარგებლობს, რითიც ადგილობრივი. ლიცენზიის მოპოვების ვალდებულება აქვთ მხოლოდ რამდენიმე სფეროში. ეს ეხება ფარმაცევტულ ბაზარს, პორტს, აეროპორტს, რკინიგზას, ტელეკომუნიკაციებს და კიდევ რამდენიმე სექტორს. სასამართლო დავები ინვესტორებთან ესტონეთში ძალიან იშვიათია, სასამართლო ხელისუფლების გავლენისგან თავისუფალია. ერთადერთი პრეტენზია, რაც შეიძლება, ესტონეთის მართლმსაჯულებასთან მოქალაქეს ჰქონდეს, საქმის ნელი ტემპით განხილვაა. არაერთი საერთაშორისო კვლევა ადასტურებს, რომ უცხოელ ინვესტორებს კორუფციასთან დაკავშირებული საკითხები ესტონეთში პრობლემებს არ უქმნით.[20]

ჩვენი ქვეყნისთვის კარგად ცნობილი ესტონელების მიერ განხორციელებული საგადასახადო რეფორმა, „ესტონური მოდელი“, არ არის ამ ბალტიური ქვეყნის მიერ გატარებული ერთადერთი და იშვიათი წარმატებული პოლიტიკის შედეგი .

[20] შამანაური ხ. - ესტონეთის გამოცდილება დანგრეული ეკონომიკიდან ბალტიის სასწაულამდე 22.01.2018http://eugeorgia.info/ka/article/352/estonetis-gamocdileba---dangreuli-ekonomikidan-baltiis-saswaulamde/

გამომდინარე იქიდან, რომ ორივე სახელმწიფო, საქართველო და ესტონეთი, არის საბჭოური იმპერიის ყოფილი რესპუბლიკები, ამ ორი ქვეყნის „მოღვაწეობის“ შედარებითი ანალიზი ჩვენთვის საინტერესოა, განსაკუთრებით კი იმ ფონზე, როდესაც დღეს ესტონეთი მსოფლიოს ანცვიფრებს მიღწევებით განათლების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა თუ სახელწიფო მმართველობის სფეროში.

ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკის რელსებიდან საბაზრო ლიბერალურ ეკონომიკაზე გადასვლა იყო პირველი ეტაპი, რომელსაც, ბუნებრივია, თან სდევდა პრივატიზაციის დიდი მაშტაბები. 2000-იანი წლების დასაწყისში ესტონეთის დაბალმა გადასახადებმა, სტაბილურმა მაკროეკონომიკურმა გარემომ და მდიდარმა ადამიანურმა რესურსებმა მიმზიდველი პირობები შექმნა უცხოური პირდაპირი თუ პორტფელური ინვესტიციებისთვის.

ესტონეთი იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც 2014 წელს დანერგა ე.წ. „ელექტრონული მოქალაქეობა“ (E-residency). ამ სტატუსის მქონე პირს, მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან ხელი მიუწვდება ისეთ მომსახურეობებზე, რომლებიც აუცილებელია კომპანიის დასაფუძვნებლად და მის სამართავად. „ელექტრონული მოქალაქეობის“ ფარგლებში არაესტონელ პირებს საშუალება მიეცათ ესტონეთის ტერიტორიაზე დისტანციურად დაეფუძვნებინათ და ემართათ კომპანიები თუ ფირმები. მსგავსი მმართველობითი საქმიანობის განსახორციელებლად უცხოელ ინვესტორებს საშუალება მიეცათ ელექტრონულად განეხორციელებინათ კომპანიის დაფუძვნება, ბანკებთან და საგასახადო ორგანოებთან ურთიერთობა. “ელექტრონული მოქალაქეების” რიცხვი ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა. 2017 წლის იანვრისთვის დისტანციურად დაფუძვნებული კომპანიების რიცხვმა 1300-ს მიაღწია, ესტონეთში ოპერირებადი კომპანიის მფლობელების და ამ ფირმებში დასაქმებულების ჯამურმა რიცხვმა 5000 ელექტონული მოქალაქე შეადგინა. ესტონეთის 1.3 მილიონიანი მოსახლეობის ფონზე კი ეს სტატისტიკური რიცხვები საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ესტონეთში მოქმედებს „სტარტაპ-ესტონეთის“ პროგრამა რომლის ფარგლებშიც ფარგლებში სტარტაპებისთვის ხორციელდება:

მხარდამჭერი მარკეტინგული ღონისძიებები, კომპანიების დამფუძვნებლებისა და დასაქმებულების კვალიფიკაციის ამაღლება, ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისთვის საინვესტიციო პოტენციალის გაცნობა, ყველა იმ მარეგულირებელი დაბრკოლებების შემცირება, აღმოფხვრა, რომლებიც ხელს უშლის ბიზნესის წამოწყებასა თუ განვითარებას.

გარდა „სტარტაპ-ესტონეთისა“, ესტონეთში არსებობს სტარტაპ-აქსელერატორი კომპანიები, რომლებიც ზრუნავენ დამწყები კომპანიებისთვის სტარტაპ ეკოსისტემის გაუმჯობესებაზე. სტარტაპების დასახმარებლად ესტონეთში არსებობს კომპლექსური მიდგომა და აქტიური ქმედებებიც ხორციელდება.

საქართველო კი ამ მიმართულებით პირველ ნაბიჯებს დგამს. ინოვაციური ბიზნეს ხელშეწყობის „სტარტაპ საქართველო“ პროგრამას უკვე ყავს მაღალტექნოლოგიური პროფილის 70-მდე კონკურსის გამარჯვებული. ჩვენთვის ასევე ცნობილია, რომ სააგენტო ეცნობა და სწავლობს ესტონურ გამოცდილებას, რაც კარგი პრაქტიკაა, თუმცა აუცილებელია სტარტაპების წინაშე არსებული პრობლემებისადმი სახელისუფლებო დონეზე ერთიანი მიდგომა და ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად აქტიური და სწრაფი ნაბიჯების გადადგმა. მაგალითად, აუცილებელია სამთავრობო ინიციატივით შეიქმნას სტარტაპ-აქსელერატორი ორგანიზაციები თუ კომპანიები, რომლებიც აქტიურად იმუშავებენ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე ქართული სტარტაპებისთვის.[21]

ესტონეთის მსგავსათ ლატვია წარმოადგენს კიდევ ერთ ნათელ მაგალითს, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია უცხოურ ინვესტიციებს ეკონომიკისათვის. ლატვიის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება სწრაფად გაიზარდა და 2018 წელს მიაღწია უმაღლეს წერტილს (15.1 მილიარდი

[21] ეჯიბია მ. ესტონეთი ქვეყანა - წარმატების მაგალითი http://eugeorgia.info/ka/articleblog/48/estoneti-qveyana--warmatebis-magaliti/?fbclid=IwAR1MaF42OPyBHI9j_pI1huQ6xal45tUIi9pMEcDiDVSTI_OlJa7wgtIUy_E

ევრო). უცხოური ინვესტორების, სტაბილური მონეტარული პოლიტიკის, ლატვიის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ევროკავშირსა და დსთ-ს ქვეყნებს შორის, ასევე მისი კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურისთვის ახალი ბაზრის შესაძლებლობები იყო ახალი ბაზრის შესაძლებლობები. გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად დაზარალებულმა ლატვიამ ფართო მასშტაბური საფრთხეები განახორციელა. შედეგად, ლატვიის ეკონომიკა, უცხოელი ინვესტორების ნდობა და უცხოური ინვესტიციების შემოდინება კვლავ იზრდება.

დიადრამა №11

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ლატვიაში 2010-2018 წლები (მლნ ევრო)



ისტორიულად, ლატვიის უმეტესი ინვესტიციების შემოდინება მეზობელ ქვეყნებში ბალტიის ზღვის რეგიონისა და ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოებისგან მოდის. 2018 წელს ინვესტიციების უმსხვილესი ინვესტიციები შვედეთიდან იყო - ლატვიის ეკონომიკის მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 17%. 2018 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენდა ყველა სადაზღვევო სექტორის 76% -ს, მათ შორის 52% ევროზონის ქვეყნებიდან.

დიაგრამა №12

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ლატვიაში 2018 წელს



თუმცა, ლატვიის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ეკონომიკურ სექტორთა ფართო სპექტრს მოიცავს, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი წილი მომსახურებას მიეკუთვნება. პირდაპირი ინვესტიციების განხორციელება გვიჩვენებს, რომ ყველაზე მეტი ინვესტიცია მოზიდულია ფინანსური შუამავლობით (24%). უმსხვილესი უცხოური ინვესტიციების ვაჭრობის სფეროში (15.8%), უძრავი ქონების ოპერაციები (15.1%) და წარმოება (11.6%).

დიაგრამა №13

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ლატვიაში ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2018 წელს



[22]

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ლატვიისა და ესტონეთი დადებითი ზრდის პრაქტიკა გაანალიზებულ იქნას და გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების დონეზე. თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის ერთიანი მიდგომებით და სწორი ეკონომიკური პოლიტიკით საქართველო ლატვიასთან და ესტონეთტან შედარებითაც კი დაწინაურდა ბიზნესის კეთების საერთაშორისო რეიტინგში, რაც გვაძლევს პოზიტიურად ფიქრის შესაძლებლობას და სავსებით შესაძლებელს ხდის საქართველომ არსებულთან შედარებით მეტი უცხოური ინვესტიცია მოიზიდოს, რაც ხელს შეუწყობს არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

3. საქართველოს საინვესტიციო გარემოს ანალიზი და პერსპექტივები

3.1 ინვესტიციები შემაფერხებელი ფაქტორები

გლობალიზაციის პროცესი განვითარებად ქვეყნებს სთავაზობს სწრაფი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს საერთაშორისო ვაჭრობასა და კაპიტალზე წვდომის საშუალებით. შესაბამისად აღნიშნულ პროცესთან ერთად გაზრდილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობაც. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

[22] ლატვიის სტატისტიკის სამსახური http://www.liaa.gov.lv/en/invest-latvia/investor-business-guide/foreign-direct-investment?fbclid=IwAR2p3l0dpRr3ydTWI8ZhBfblBFcn9VcKlNpr3R4mHguqmvp_RvUX2aN8FNw

უცხოელ ინვესტორებს აქტივების უფრო ეფექტიანი გამოყენების საშუალებას აძლევს, ხოლო ინვესტიციების მიმღებ ქვეყნებს უკეთესი ტექნოლოგიის ათვისების, საერთაშორისო წარმოების და სავაჭრო პროცესში ჩართვის შესაძლებლობას სთავაზობს.

განვითარებადმა ქვეყნებმა ბოლო ათწლეულში განახოციელეს საინვესტიციო რეჟიმების მასიური ლიბერალიზაცია მეტი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, რადგან ინვესტიციების მოზიდვა განიხილება ეკონომიკური განვითარების, მოდერნიზაციის, შემოსავლის ზრდის და დასაქმების ხელშემწყობ ფაქტორად.

მიუხედავად ბევრი უპირატესობისა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკისთვის შესაძლოა უარყოფითი შდეგიც ჰქონდეს. ეკონომიკა და საგარეო ვაჭრობა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით ეფექტად განიხილება მისი პოზიტიური გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, ეკონომიკური ფაქტორების მთლაინი პროდუქტიულობის და რესურსების ეფექტიანი გამოყენების ზრდის ხარჯზე. უცხოური ინვესტიციები ქვეყანაში ზრდის კაპიტალის მოცულობას და ამ გზით ხელს უწყობს გამოშვების ზრდას. იგი ასევე ხელს უწყობს მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში საგარეო ვაჭრობის ზრდის ხელშეწყობით.

ადამიანისეული კაპიტალის განვითარება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის დასაქმებას და მნიშვნელოვანია ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისთვის. მაღალი პროდუქტიულობის გამო ხშრად ასეთი ტიპის დასაქმება უფრო მაღალ ხელფასებსა და უკეთეს სამუშაო პირობებს გულისხმობს. ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუ და პროგრესული მენეჯმენტი გლობალურ ბაზრებზე ასეთი ტიპის წარმოების თავის დამკვიდრების საშუალებას იძლევა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი უმთავრესი დადებითი ეფექტი მიმღებ ქვეყანაში სხვა სექტორებზე მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური გადადინების ეფექტია. ადგილობრივ კომპანიებს შეუძლიათ პროდუქტიულობის ზრდა თანამედროვე, გაუმჯობესებულ ტექნოლოგიებზე წვდომის საშუალებით.

უცხოური ინვესტიციები ზრდის კონკურენციის დონეს ადგილობრივ ბაზარზე და ამ გზით ხელს უწყობს მაღალ პროდუქტიულობას, ინოვაციებს, შედარებით დაბალ ფასებს და რესურების უფრო ეფექტიან გადანაწილებას.

რაც შეეხება უარყოფით ფაქტორს პირადპირ უცხოურ ინვესტიციებს შეიძლება ქონდეს ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის ეფექტი. ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი ბაზრის ათვისების მიმართულებით ხორციელდება ინვესტიციები ადგილობრივი კომპანიები მნიშვნელოვან კონკურენციას ხვდებიან, რადგან უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიები დაბალი ზღვრული დანახარჯის გამო ზრდიან წარმოების მოცულობას და იზიდავენ მომხმარებელს. შემცირებული მოთხოვის გამო კი ადგილობრივი მწარმოებლები ამცირებენ წარმოების მოცულობას და მათი ფიქსირებული დანახარჯი ერთ ერთეულ წარმოებაზე იზრდება. მაგრამ თუ ინვესტიცია არის საექტსპორტი წარმოებაზე მიმართული მაშინ ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის ეფექტი ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს.

ზოგადად ადგილობრივი ინვესტიციის გამოდევნა ორი ძირითადი მიზეზის გამო ხდება: პირველი, როდესაც ადგილობრივი ფირმები ქრებიან უცხოელი კონკურენტების მაღალი პროდუქტიულობისა და ხარისხის გამო და მეორე, უცხოელი კონკურენტების მიერ ფინანსურ რესურსებზე და გარე ბაზრებზე უკეთესი წვდომის გამო. პირველ შემთხვევაში წმინდა ეფექტი ქვეყნისთვის დადებითია, რადგან ბაზარზე რჩებიან მაღალი პროდუქტიულობის და ხარისხის ფირმები. მაგრამ მეორე შემთხვევაში ჩნდება სოცილაური დანაკარგი, რომლის აღმოფხვრაც ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესების დახმარებით ხორციელდება.

პირდაპირი უცხოური ინვესტცია თავისთავად არ წარმოადგენს უპირატესობას ან ნაკლოვანებას, მისი დადებითი ეფექტი დამოკიდებულია მიმღებ ქვეყნაზე.[23]

სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად კონფლიქტური რეგიონების არსებობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს საინვესტიციო კლიმატზე მეტად

[23] გერაძე რ. სტატია – პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებითი და უარყოფითი შედეგები http://forbes.ge/blog/214/pirdapiri-ucxouri-investiciebis-dadebiTi-da-uaryofiTi-Sedegebi

ნეგატიურად აისახება, რაც ჩვენი ბაზრის სიმცირის და მუშახელის დაბალი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, ნამდვილ „თავის ტკივილს“ წარმოადგენს საქართველოს მთავრობისთვის. აგრეთვე უდიდესი პრობლემაა აღნიშნულ რეგიონებთან მუდმივად დაძაბულ ვითარებაში თანაარსებობა.

ქართულ-აფხაზურ ეკონომისტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, კონფლიქტური ვითარების და „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის არსებობის მიუხედავად, ქართულ-აფხაზური ეკონომიკური ურთიერთობები მაინც არსებობს და მნიშვნელოვან როლსაც ასრულებს: ერთი მხრივ, აფხაზური სასურსათო უსაფრთხოების, მეორე მხრივ, კი აფხაზეთში მცხოვრები (არამხოლოდ) ქართველი მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის მხარდაჭერის თვალსაზრისით.

კონფლიქტების მოგვარება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს არამხოლოდ საინვესტიციო კლიმატის, არამედ, მთლიანად ქართული ეკონომიკის წინსვლისთვის,

ყოველი ბიზნესმენისთვის ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტირების წინაპირობა მისი საკუთრების უფლების დაცვაა. ინვესტორი ყოველთვის კითხულობს, აქვს თუ არა გაფორმებული „ახალ ბაზარს“ მის ქვეყანასთან ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის ორმხრივი ხელშეკრულება.

შესაბამისად ინვესტიციის განხორციელებისას ქონების

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (თიზი) თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი ნაირსახეობაა. თიზის ტერიტორიაზე მოქმედებს საგადასახადო და სხვა დამატებითი შეღავათები, სწორედ ამაშია მისი მომხიბვლელობაც. თიზის შექმნის მიზანი ინვესტორებისა და კაპიტალის მოზიდვაა. როგორც წესი, სპეციალური ეკონომიკური ზონები ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპს აჩქარებენ. თუმცა თიზმა რომ ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენა იქონიოს, ჯერ მისი განვითარებაა საჭირო. თიზები წარმატებულია განვითარებულ (დიდი ეკონომიკის მქონე) ქვეყნებში. თუმცა თიზის

წარუმატებლობის მაგალითებიც ბევრი მოიძებნება, განსაკუთრებით – განვითარებად ქვეყნებში.[24]

საქართველომ „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ“ კანონი 2007 წელს მიიღო. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიძლება შეიქმნას საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე (გარდა დაცული ტერიტორიებისა), რომლის ფართობიც მინიმუმ 10 ჰა უნდა იყოს. თიზი შეიძლება შეიქმნას მთავრობის ინიციატივით ან ორგანიზატორის (ფიზიკური ან იურიდიული პირის) მოთხოვნით, თუმცა თიზის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას მთავრობა იღებს.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო გათავისუფლებულია:

მოგების გადასახადისგან; ქონების გადასახადისგან; დამატებითი ღირებულების გადასახადისგან;

უცხოური ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებული საქონლის იმპორტის გადასახადისგან.

თუმცა თიზში წარმოებული საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე გატანის შემთხვევაში იმპორტის 4%-იანი გადასახადია დაწესებული. კანონმდებლობით, თიზის ტერიტორიაზე ინვესტორი იჯარით იღებს ობიექტს. რადგან ინვესტორს არა აქვს უფლება საკუთრებაში (იმ ვადით, რა ვადითაც თიზი შექმნილია) მიიღოს ობიექტი, ეს მის ინტერესს ამცირებს. არსებობს რამდენიმე ფაქტორი, თუ რატომ არ არის საქართველოში თიზები იმ დონეზე წარმატებული, რა მოლოდინიც ხელისუფლებებს ჰქონდათ. პირველი, საქართველოში საგადასახადო სისტემა ისედაც ლიბერალურია, ასევე მარტივად გაიცემა სამეწარმეო ლიცენზიები და ნებართვები, შესაბამისად, თიზი განსაკუთრებულად მიმზიდველი ვერ იქნება. ქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოში პირველი თიზების ამოქმედება 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდსა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის პერიოდს დაემთხვა, რაც თიზების განვითარების ერთ-ერთი დამაბრკოლებელი გარემოება იყო.

[24] ჭარაია ვ. - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის (საქართველოს მაგალითზე) დისერტაცია თბილისი - 2015

იქიდან გამომდინარე, რომ თიზების შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო საფინანსო სამსახურები პრაქტიკულად არ გასცემენ, ჩვენი ინფორმაციის წყარო თიზების ადმინისტრაციებია.

თიზის ტერიტორიაზე სავაჭრო ბრუნვისა და ინვესტორების მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა კომერციულ საიდუმლოებას მიეკუთვნება, შესაბამისად, ეროვნულ ეკონომიკაზე თიზის გავლენას ცალსახად ვერ შევაფასებთ. საქართველოში მოქმედი თიზები დაახლოებით 20-25%-იანი დატვირთვით მუშაობენ. საქართველოში ყველაზე წარმატებული თიზის შემთხევაშიც კი შეიძლება ითქვას, რომ თიზები ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ვერ ითამაშებენ.[25]

3.2 საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის შეფასება

საინვესტიციო პოტენციალს აფასებენ მაკროეკონომიკური მახასიათებლების საფუძველზე, რომელიც შეიცავს: მოცემულ ტერიტორიაზე წარმოების ფაქტორების არსებობას (მათ შორის შრომით რესურსებს მათი საგანმანათლებლო დონის გათვალისწინებით); სამომხმარებლო მოთხოვნას; მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის შედეგებს; მეცნიერების განვითარებისა და მისი მიღწევების დანერგვის დონეს; საბაზრო ეკონომიკის წამყვანი ინსტიტუტების განვითარებას; კომპლექსური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

საინვესტიციო რისკები ფასდება ინვესტიციებისა და შემოსავლების დაკარგვის ალბათობის პოზიციიდან. ამ რისკებს შორისაა: ეკონომიკური, ფინანსური, პოლიტიკური, სოციალური, ეკოლოგიური, კრიმინალური და საკანონმდებლო რისკები. მრავალ მაჩვენებელთა საფუზველზე ფასდება ყოველი რეგიონის რეიტინგი საინვესტიციო პოტენციალის ყოველი შემადგენელი ელემენტის და რისკის მიხედვით.

[25] აბსანძე თ. - რა აფერხებს საქართველოში თიზების განვითარებას http://forbes.ge/news/3229/ra-aferxebs-Tizebis-ganviTarebas

ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალი — საინვესტიციო გარემო (კლიმატი), როგორც ეკონომიკური კატეგორია, წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ-მართლებრივ, ეკონომიკურ-გეოგრაფიულ, გეოპოლიტიკურ-ეკოლოგიურ და სხვა ურთიერთობების ფართო სისტემას. იგი ფორმირდება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესების და მოვლენების ზეგავლენით მართვის მაკრო, მეზო და მიკროდონეზე და ხელს უწყობს (ან ხელს უშლის) მყარი ინვესტიციური მოტივების წარმოშობას.

საინვესტიციო პოტენციალი შედგება მრავალი კომპონენტისგან, ესენია: ფინანსური; ნედლეულის; მწარმოებლური; ადამიანური; ინფრასტრუქტურული; ინოვაციური და ინსტიტუციური პოტენციალი.

საქართველოს, როგორც უკვე ავღნიშნეთ გააჩნია დიდი საინვესტიციო პოტენციალი სხვადასხვა მიმართულებით მათ შორისაა უძრავი ქონების სექტორი ამ სფეროში დიდი საინვესტიციო შესაძლებლობებია საქართველოს ბუნებრივი, გეორგაფიული და კლიმატური პირობების, ასევე მდიდარი კულტურული მიემკვიდრეობის და ტურიზმის და საკურორტო ინდუსტრიის განვითარების დიდი პოტენციალის გათვალისწინებით. უძრავი ქონების სექტორის განვითარება საქართველოს ტურისტული პოტენციალის სწრაფი განვითარების საფუძველია. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საქართველომ რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი და განვითარებული ტურისტული ქვეყნის და მთავარი რეგიონული ტურისტული დანიშნულების ადგილის ნიშა დაიკავა, როგორც საზაფხულო, ასევე ზამთრის (სათხილამურო), სამკურნალო, გამაჯანსაღებელი, სპორტული თუ სხვა სახის კურორტების მიმართულებით. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად იზრდება საქართველოში შემოსული უცხოელი ტურისტების რაოდენობა. დიდია საინვესტიციო შესაძლებლობები (როგორც სრულიად ახალი, გაუკვალავი, ისე უკვე არსებული), როგორც დედაქალაქ თბილისში, ისე საქართველოს რეგიონებში. მთავრობის მნიშვნელოვანი ინვესტიციები სახელმწიფო ინფრასტრუქტურის განვითარებაში ხელს უწყობს კერძო ინვესტიციების ჩადებას უძრავ ქონებასა და ურბანულ განახლებაში, მათ

შორის სასტუმრო ბიზნესში და უძრავი ქონების ინფრასტრუქტურაში, საზღვაო, სათხილამურო კურორტებთან, საღონისძიებო ტურზმთან, ეკო-ტურიზმთან, სათავგადასავლო ტურიზმთან, სასოფლო, მეღვინეობის და კულინარულ ტურიზმთან და სხვა ტიპის ტურიზმთან მიმართებაში. საქართველო სწრაფად ხდება რეგიონალური ეკონომიკის ცენტრი, რომელიც რეგიონალურ დონეზე ბიზნესის წარმოების პლატფორმას წარმოადგენს.

საქართველოსთვის ასევე მნიშვნელოვანია წარმოებასთან დაკავშირებული რამდენიმე საინვესტიციო სქემა. მიმდინარეობს ახალი მიმართულებების ძიება როგორც მსუბუქი, ისე მძიმე მრეწველობის განვითარებისათვის, სადაც საქართველოს დიდი გამოცდილება გააჩნია.

პროფესიული ცოდნა, წარსულის გამოცდილება, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ღია და ლიბერალური ვაჭრობა, შედარებით იაფი მუშახელი, მდიდარი ადამიანური რესურსები, გამოცდილება მრეწველობის სხვადასხვა დარგებში, განვითარებული ინფრასტრუქტურა როგორც ქვენის შიგნით, ასევე სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე, ინვესტორებისათვის ხელსაყრელი დაბალი გადასახადები, სანდო და შედარებით იაფი კომუნალური მომსახურება (ელექტროენერგია, წყალი და ა.შ.) ამცირებს ბიზნესის წარმოების ხარჯებს და ბიუროკრატიულ ბარიერებს, რაც საქართველოს კონკურენტუნარიანს ხდის როგორც რეგიონში, ისე გლობალურად. საქართველოს ლიბერალური ეკონომიკური მოდელი, ვაჭრობის ღიაობა, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი რეგიონის ქვეყნებთან, ასევე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ევროკავშირთან, კიდევ უფრო ამაღლებს საქართველოს პოტენციალს, რომ გახდეს რეგიონის გადამამუშავებელი მრეწველობის ცენტრი.

საქართველოს გააჩნია კონკურენტუნარიანი წყლის და ენერგო რესურსები. მთლიანობაში, საქართველოს სოფლის მეურნეობას და კერძოდ, კი აგრობიზნესს, გააჩნია საინტერესო, ღირებული და მიმზიდველი საინვესტიციო შესაძლებლობები.

ცნობილია, რომ მოხერხებული და გამართული ინფრასტრუქტურა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა და უზრუნველყოფს არა მარტო ქვეყნის ეკონომიკის, არამედ ზოგადად, ყველა საზოგადოებრივი მექანიზმის გამართულ მუშაობას. ინფრასტრუქტურულ პროექტებში ინვესტირება ერთის მხრივ კონკრეტული ინვესტორისთვის თუ სექტორისთვის მომგებიანი ბიზნესია, მეორეს მხრივ ამ ინფრასტრუქტურით სარგებლობა გადამწყვეტი ფაქტორია სხვა დარგების განვითარებისთვის. წარმოუდგენელია საგზაო, სატრანსპორტო, სავაჭრო, საინფორმაციო, კავშირგაბმულობის, ტურისტული, საწარმოო თუ სხვა ტიპის ინფრასტრუქტურის გარეშე ეკონომიკის განვითარება. თავის მხრივ, ინფრასტრუქტურული პროექტები საკმაოდ ბევრ სამუშაო ადგილს ქმნის, შემოაქვს ბევრი ახალი ტექნოლოგია და განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. საქართველოს გააჩნია კონკურენტული უპირატესობა, რაც გამოიხატება გეოგრაფიულ მდებარეობაში, რასაც ბუნებრივია გამართული ინფრასტრუქტურა უნდა დაემატოს.[26]

გლობალური კონკურენციის და დინამიკური ეკონომიკური პროცესების გამო სწრაფად იცვლება ბიზნესის მოთხოვნები. შესაბამისად, აუცილებელია სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა. 2004 წლიდან საქართველოში ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმები დაიწყო. ამ რეფორმების განხორციელებამ აღმოფხვრა ბიუროკრატიული ბარიერები და შეამცირა საგადასახადო ტვირთი. მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების ანგარიშში საქართველო პირველ ადგილს იკავებს მსოფლიოში ქონების რეგისტრაციის სიმარტივის მიხედვით, თუმცა, ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია, როდესაც საკუთრების უფლება არ არის სათანადოდ დაცული და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის სწრაფად გადაწყვეტის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შეზღუდულია. სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემებზე სხვადასხვა საერთაშორისო შეფასება და ანგარიში მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ „საქართველოსა და

[26] საქართველოს საპარტნიორო ფონდი http://www.fund.ge/

ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ საქართველოს ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, ახალ შესაძლებლობებს გაუხსნის. მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს უზრუნველსაყოფად აუცილებელია რიგი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება, მათ შორის, სასამართლო სისტემის გაძლიერების ხელშეწყობა. ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, ასევე საკუთრების უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. საქართველოს მთავრობა შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებით/წარდგენით, ასევე, ადმინისტრირების გაუმჯობესებით, უზრუნველყოფს რეფორმების ეფექტიან განხორციელებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებთან. გადასახადის გადამხდელის ყველა ძირითადი ვალდებულება განისაზღვრება მხოლოდ კანონით.

როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს საინვესტიციო პოტენციალზე აღსანიშნავია, რომ სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ქვეყანაში ვაჭრობის ხელშეწყობისთვის და პოპულარიზაციისთვის, აქტიურად უჭერს მხარს ქართული კომპანიების მონაწილეობას საერთაშორისო სავაჭრო გამოფენებში. მხარდაჭერა კი გამოიხატება, საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების 75%-დან 80%-მდე თანადაფინანსებაში.

ამასთანავე, ინვესტორებისთვის საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერაც ხელმისაწვდომია. კერძოდ, თუ კომპანია წარმოების დასაწყებად ან არსებული ბიზნესის გაფართოება/გადაიარაღებისთვის იღებს ადგილობრივ ბანკში სესხს (ლარში), პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერით ისარგებლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ 24 თვის განმავლობაში პროცენტის თანადაფინანსებას, 10%-ის ოდენობით სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ განახორციელებს. ანალოგიურად ხდება, სასტუმრო ინდუსტრიების მხარდაჭერის

მიზნით კომერციულ სესხზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება და ქვეყანაში საერთაშორისო ბრენდების შემოყვანის სტიმულირების მიზნით საერთაშორისო ფრანჩაიზი/მენეჯმენტ კონტრაქტით გათვალისწინებული გადასახადების (Royalty Fee) ანაზღაურება. აღსანიშნავია, ისიც რომ ორივე შემთხვევაში სახელმწიფო საბანკო გარანტიის 50%-ს უზრუნველყოფს.

ამასთანავე, საქართველოში დღემდე მინიმუმ 300,000 ლარის მოცულობის ინვესტიციის განხორციელების შემთხვევაში უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეეძლო მიეღო საინვესტიციო ბინადრობის უფლება. თუმცა ცვლილების შესაბამისად საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა, გაიცემა იმ უცხოელზე და მისი ოჯახის წევრებზე, რომელმაც „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განახორციელა არანაკლებ 300 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტის ოდენობის ინვესტიცია ან რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 300 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტს.[27]

გარდა ზემოაღნიშნულისა, სააგენტოს გააჩნია კინოწარმოების სტიმულირების პროგრამა - „გადაიღე საქართველოში”, რომელიც საქართველოში გაწეული კვალიფიციური ხარჯების 20%-ის უკან დაბრუნებას გულისხმობს. ხარჯების დამატებით 2-5 % ის ოდენობით ანაზღაურება არის ხელმისაწვდომი საერთაშორისო კინომწარმოებლებისთვის იმ შემთხვევაში, თუ პროექტები მოიცავს ქვეყნის პოპულარიზაციის ელემენტებს.

საქართველოში ინვესტიციების განხორციელებისთვის კიდევ ერთი მიმზიდველი მხარდაჭერის მექანიზმს წარმოადგენს "საპარტნიორო ფონდი". აღნიშნული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საინვესტიციო ფონდი მეწარმეს სთავაზობს დამატებით ფინანსურ მხარდაჭერას (equity financing), რათა უცხოელი

[27] უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ 15 მუხლი თ ქვეპუნქტი

ინვესტორისთვის მოხდეს დამატებითი რისკების შემცირება. საქართველოში ასევე აქტიურად ფუნქციონირებს ოთხი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (FIZs), რომელიც მოქმედებს ფოთში, ქუთაისსა და თბილისში.

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ერთ-ერთი პირველი სახელწიფო უწყებაა საქართველოში, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება, საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა. დინამიური ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, სააგენტო აერთიანებს სამ კომპონენტს, ეკონომიკური განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ შრეს: ბიზნესს (ადგილობრივ წარმოებას), ექსპორტს და ინვესტიციებს.

„აწარმოე საქართველოში - ინვესტიციის“ მიმართულების მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და განვითარება. აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს ერთგვარ მედიატორს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის, მუშაობს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ და ეხმარება დაინტერესებულ ინვესტორებს სხვადასხვა ინფორმაციის მიღებასა და ქართულ მხარესთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებაში.[28]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინვესტიციების მოსაზიდად საჭიროა სხვა ქვეყნებზე მეტად მიმზიდველი ბიზნესგარემო გქონდეს. ქვეყნების ბიზნესგარემოს რამდენიმე გავლენიანი ორგანიზაცია იკვლევს და, ინდექსებზე დაყრდნობით, შესაბამის რეიტინგებს აქვეყნებს. თუმცა აღნიშნულ რეიტინგებს შორის აღსანიშნავია ბიზნესის კეთების სიმარტივის (Doing business) რეიტინგში საქართველო მე-6 ადგილზეა 190 ქვეყანას შორის,[29] ხოლო ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში მე-16 ადგილზეა 180 ქვეყანას შორის 2019 წლის მონაცემებით საქართველო რჩება უმეტესად

[28]ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/826-sainvesticio-klimati-saqartveloshi-dzalian

[29] საქართველო საერთაშორისო რეიტინგებშიhttp://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/doing_business_2019_7_05_geo.pdf

თავისუფალ ჯგუფში.[30]მაგრამ ეს რეიტინგები არ ასახავს პოლიტიკური სტაბილურობისა და ომის საფრთხეებს. მათში ასახული არ არის ის, რომ საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი ოკუპირებულია, სწორედ რუსეთის ფაქტორია საქართველოს ბიზნესგარემოსთვის ყველაზე დიდი ზიანის მიმყენებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით საქართველო მსოფლიოში მე-16 ადგილზეა, ამ ინდექსის ძალიან მნიშვნელოვანი კრიტერიუმით - საკუთრების უფლების დაცვით საქართველო მსოფლიოში 45-ე ადგილზეა, დაცული საკუთრება კი კარგი ბიზნესგარემოს საძირკველია.

გადასახადების ტვირთი 38-ე ადგილი, მთავრობის დანახარჯი 78-ე ადგილი. ფინანსური თავისუფლება 17-ე ადგილზეა. საიმედოდ საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობას ასევე ამცირებს ის, რომ ქვეყანა ღარიბია ბუნებრივი რესურსებით. თუმცა, ამავე დროს, ინვესტიციებს იზიდავს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა. ამ გარემოების დამსახურებაა ის, რომ ყველაზე მეტი ინვესტიცია ტრანსპორტის სექტორში შემოდის.

ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი სადაც 2018 წლის მონაცემებიტ საქართველო 66-ე პოზიციაზე იმყოფება 140 ქვეყანას შორის.[31]

საერაშორისო რეიტინგებზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ კორუფციის აღქმის ინდექსი, სადც საქართველო 41-ე პოზიციაზეა 58 ქულით 180 ქვეყანას შორის.[32]

კიდევ ერთი გარემოება, რაც საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობაზე უარყოფითად მოქმედებს, არის განათლების დაბალი დონე, რაც კვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტში აისახება. არაკვალიფიციური სამუშაო ძალა კი იმდენი არ არის, რომ ხელით შრომაზე დამოკიდებულ სექტორებში მრავალმილიონიან აზიის ქვეყნებს ვაჯობოთ. ამას ემატება ინგლისური ენის არცოდნა.

---

[30] http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/heritage_2019_geo.pdf
[31] http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/gci_2018_1_geo.pdf
[32] http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/cpi_2018_geo_.pdf

საქართველოს საინვესტიციო უპირატესობას სძენს ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმი (განსაკუთრებით, ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ) და უცხოური კაპიტალის გადაადგილებაზე კონტროლის არარსებობა. ასევე, საკმაოდ ლიბერალური სავიზო რეჟიმი (90-მდე ქვეყნის მოქალაქეს უვიზოდ შემოსვლა შეუძლია).

სხვა თანაბარ პირობებში, ორნიშნა ეკონომიკური ზრდისთვის საქართველოში წელიწადში მინიმუმ 3 მილიარდი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია უნდა შემოვიდეს. ამისათვის კი საჭიროა იმ გარემოებების გამოსწორება, რაც ჩვენს ბიზნესგარემოს აზიანებს. რთულად მოსაგვარებელია რუსეთის ფაქტორი, მაგრამ ისეთი ნაკლოვანებები, როგორებიც გვაქვს საკუთრების დაცვაში, დემოკრატიის დონესა და განათლებაში, გამოსწორებადია, თუ ამის პოლიტიკური ნება იქნება.[33]

საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის შეფასებისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას არა მხოლოდ ეკონომისტებისა და ექსპერტთა ჯგუფის შეფასებები, არამედ მნიშვნელოვანია საზოგადოების აზრი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებასთან საქართველოში, რა საინვესტიციო პოტენციალი გააჩნია რომელი სექტორი იქნება ხელსაყრელი საქართველოში ინვესტირება ამ და სხვა მრავალი საკითხის გასარკვევად და საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გასარკვევად ჩემს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა ელექტრონული სისტემის Google Forms – ის მეშვეობით, სადაც გამოკითხულ იქნა 151 სრულწლოვანი საქართველოს მოქალაქე.

დიაგრამა №14

კვლევაში მონაწილეთა ასაკი

[33] ნამჩავიძე ბ. - რამდენად წარმატებულად იზიდავს საქართველო უცხოურ ინვესტიციებს https://forbes.ge/news/2115/ramdenad-warmatebulad-izidavs-saqarTvelo-ucxour-investiciebs



გამოკითხული მოქალაქეების დიდი ნაწილი 83,4% არის უმაღლესი განათლების მქონე სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელი 15,2% საშუალო განათლების მქონე ხოლო მათგან 1,4% იყო არასრული საშუალო განათლების მქონე.

დიაგრამა №15

ინფორმაცია კვლევაში მონაწილეთა განათლების მდგომარეობის შესახებ



ასევე გამოკითხული მოქალაქეების 64,9% არის დასაქმებული ხოლო 35,1% არის უმუშევარი.

დიაგრამა №16

ინფორმაცია კვლევაში მონაწილეთა დასაქმების მდგომარეობის შესახებ



ჩემს მიერ დასმულ კითხვაზე თუ რა გავლენას ახდენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე არის აზრთა სხვადასხვაობა თუმცა აღსანიშნავია, რომ მათი დიდი ნაწილი 95,4% თვლის, რომ ხელს უწყობს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, გამოკითხულთა 2,0% ფიქრობს, რომ უცხოური ინვესტიციები მოქმედებს უარყოფითად ქვეყნის ეკონომიკაზე, 1,3%-ს აზრით არ ახდენს გავლენას ეკონომკიაზე, ასევე არის განსხვავებული მოსაზრებები 1,3% ფიქრობს, ინვესტიციები გარკვეულწილად დადებითად მოქმედებს ეკონომკიაზე, თუმცა რიგ შემთხვევებში კონკრეტული ინვესტიცია შეიძლება გახდეს ადგილობრივი წარმოების შეფერხების საფუძველი.

დიაგრამა №17

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე



კითხვაზე თუ რა დადებითი ეფექტი შეიძლება მოუტანოს ქვეყანას პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შემდეგნაირად ნაწილდება; გამოკითხულთა ნაწილი აფიქსირებს არაერთ მოსაზრებას მათგან დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ დადებითი ეფექტი აქვს დასაქმების თვალსაზრისით და ასევე ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუს შემოსვლა არის ერთ-ერთი დადებითი ფაქტორი, ნაწილი ფიქრობს რომ ინვესტიციების შემოდინება ხელს შეუწყობს ადგილობრივი კადრების გადამზადებას და შესაბამისად გაიზრდება კონკურენტუნარიანობა. ასევე გაჩნდა მოსაზრება, რომ ეროვნული ვალუტის კურსის გამყარებას უწყობს ხელს. ასევე ხელს უწყობს ფინანსების შემოდინებას ქვეყნის ბაზარზე, რაც საბოლოო ჯამში აისახება მწარმოებლურობის

ზრდასთან და ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებაზე აღნიშნული წარმოდგენილია დიაგრამა №18-ზე.

დიაგრამა №18

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი ეფექტი



კვლევის ფარგებში ჩემს ინტერესს წარმოადგენდა ასევე მოქალაქეების აზრი თუ რა უარყოფითი ეფექტის მომტანი შეიძლება ყოფილიყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმღები ქვეყნის ეკონომიკისათვის და კონკრეტულად საქართველოსთვის; მოცემულ შემთხვევაშიც გამოიკვეთა განსხვავებული მოსაზრებები რაც შემდგომში მდგომარეობს; ძირითადი ნაწილი ფიქრობს, რომ ინვესტორს მოგების სახით დააქვს ქეყნიდან მის მიერ მიღებული შემოსავალი, ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ უცხოურმა ინვესტიციებმა შესაძლებელია სამუშაოს გარეშე დატოვოს ადგილობრივი მუშახელი და ასევე გამოდევნოს ბაზრიდან ადგილობრივი ინვესტიციები, ამასთან დაფიქსირდა მოსაზრება, რომ თუ სწორად იქნა მიმართული ინვესტიციები უარყოფითის ნაცვლად შესაძლებელია დადებითი ეფექტის მატერებელი იყოს როგორც კონკრეტული რეგიონის ასევე მთელი ქვეყნისათვის. წარმოდგენილია დიაგრამა №19-ზე.

დიაგრამა №19

უცხოური ინვესტიციები, როგორც მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე მოქმედი უარყოფითი ფაქტორი



რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ცნობადობას გამოკითხულთა 81,5% აფიქსირებს, რომ მისთვის ცნობილია რეგიონში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების შესახებ, ხოლო 18,5 %- ს არ სმენია რეგიონში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების შესახებ.

დიაგრამა №20

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონე



პირდაპირი უცხოური ინვესტიციებზე საუბრისას მნიშვნელოვანი ფაქტორია დასაქმება, მოცემულ შემთხვევაში გამოკითხულთა 51% აფიქსირებს, რომ მისი ახლობელი დასაქმებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების შედეგად შექმნილ კომპანიაში, 48,3% კი არ ყავს ახლობელი, რომელიც დასაქმებულია აღნიშნული მიმართულებით ხოლო 0,7% საერთოდ არ სმენია აღნიშნულის შესახებ. იხილეთ დიაგრამა.

დიაგრამა №21

პირდაპირი უცხოური ინვესტიციით დაარსებულ კომპანიაში დასაქმებულთა მაჩვენებელი



კვლევის ფარგებში ჩემს მიერ ასევე დასმული იყო შეკითხვა თუ საქართველოს ეკონომიკისათვის, რომელ ფაქტორზე იქონიებს გავლენას პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სადაც გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ფაქტორები; გამოკითხულთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გავლენა აისახება ლარის გაცვლით კურსზე, მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ ეს ზემოქმედებას მოახდენს საპროცენტო განაკვეთებზე, ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად გამოყოფენ, რომ უცხოური ინვესტიციები შეამცირებს ინფლაციის დონეს საქართველოში, თუმცაღა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკის სხვადასხვა დონეზე არაერთგვაროვანია. იხილეთ დიადრამა№22.

დიაგრამა №22

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკის ფაქტორზე



კვლევის ფარგლებში ჩემს ინტერესს წარმოადგენდა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, რომლის მიხედვითაც საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა წინა წლებთან შედარებით

საგრძნბლად არის შემცირებული. დასმულ კითხვაზე თუ რამ გამოიწვია საქართველოში 2018 წელის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება; 22,5% ფიქრობს რომ ეს გამოწვეული არსებული მსხვილი საინვესტიციო პროექტების დასრულებით, მოულოდნელობას წარმოადგენდა ასევე ის ფაქტი რომ გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა დააფიქსირა, რომ ეს გამოწვეულია საქართველოში საინვესტიციო გარემოს გაუარესებით, ამასთან ნაწილი შემცირების მიზეზს უკავშირებს საქართველოში არსებულ არაკვალიფიციურ კადრებს, ხოლო ნაწილის აზრით უკავშირდება პოლიტიკურ მოვლენებს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ არასტაბილრობას. იხილეთ დიაგრამა.

დიაგრამა №23

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირების გამომწვევი ფაქტორები საქართველოში



საქართველოს საინვესტიციო გარემოს განხილვასთან ერთად დავინტერესდი თუ რაოდენ მნიშვნელოვანია აჭარის რეგიონისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სადაც გამოკითხულთა 45,0% ამბობს, რომ აწარის რეგიონის განვითარების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 51,0% მიიჩნევს, რომ ეს ნაწილობრივ არის მნიშვნელოვანი ხოლო 4,0% თვლის რომ ეს არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს. იხილით დიადრამა №24.

დიაგრამა №24

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა აჭარის რეგიონის განვითარებისათვის



მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება თუ რას ფიქრობს მოსახლეობა თუ რა ღონისძიებები უნდა გატარდეს, რომ გაიზარდოს ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ძირითადად დაფიქსირდარომ, საჭიროება დგას ინვესტორებთან მიმართებაში დაიხვეწოს კანონმდებლობა, ხოლო მეორე ნაწილის აზრით უკვე მოქმედებს ბევრი შეღავათი ინვესტორებთან მიმართებაში და შესაბამისად არ საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე მოქალაქეების ნაწილი ფიქრობს რომ ინვესტორები უნდა გათავისუფლდენ გადასახადებისაგან, ასევე ფინანსებზე წვდომა, სტაბილური და უსაფრთხო საინვესტიციო გარემო და სხვა ხელოვნური ბარიერების მოხსნა ხელს შეუწყობს ქვეყანაში ინვესტიციების ნაკადის ზრდას.

დიაგრამა №25

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების მოტივატორი



საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებზე როდესაც ვსაუბრობთ საინტერესოა ინვესტიციების ხელშემწყობი და წამახალისებელი პროგრამების არსებობა, აღნიშნული კუთხით ცნობადობა კი საკმაოდ მაღალია კერძოთ გამოკითხულთა 62,3% ათვიქსირებს, რომ სმენია ინვესტიციების ხელშემწყობი პროგრამების შესახებ ამის საპირისპიროდ კი 35,8% ამბობს, რომ არ სმენია აღნიშნულის თაობაზე, იხილეთ დიაგრამა №26.

დიაგრამა №26

ინვესტიციების ხელშემწყობი პროგრამების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის მაჩვენებელი



ყურადრება უნდა მივაქციოთ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართულებას თუ რომელი სექტორია უფრო მიმზიდველი ინვესტორებისათვის, დასმულ კითხვაზე თუ საქართველოსთვის ყველაზე მეტად რომელ სექტორშია ინვესტირება ყველაზე მნიშვნელოვანი, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სტატისტიკის ერვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე მსხვილი ინვესტიციები განხორციელდა საფინასო სექტორში თუმცა გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილი მიიჩნევს ამ მიმართულებით ინვესტიციის განხორციელებას მიზანსეწონილად და პრიორიტეტულად სხვა სექტორებს ასახელებენ. უმრავლესობის აზრით სამშენებლო სექტორი არის ყველაზე მიმზიდველი შემდგომში სასტუმრო და სარესტორნო მიმართულებით, ასევე გამოკითხულთა აზრით სოფლის მეურნეობის, თევზჭერის და ტურიზმის სექტორში

ინვესტირება იქნება უფრო ხელსაყრელი, თუმცა საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე საქართველოში ენერგეტიკის სფეროში ინვესტირება საკმაოდ ხელსაყრელია და საჭიროც კი არის გაზრდილი მოხმარებიდან გამომდინარე საქართველოს აქვს პოტენციალი განავითაროს, როგორც ჰიდროელექტროსადგურები ასევე ქარისა და მზის ელექტროსადგურების განვითარების პოტენციალი.

დიაგრამა №27

საქართველოს ეკონომიკისათვის ხელსაყრელი სექტორი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის



პირდაპირი უცხოური ინვესტიციის განხორციელებისას ყურადღება უნდა მივაქციოს ფაქტორთა ერთობლიობას, რომელიც შეიძლება ასევე გაითვალისწინოს უცხოელმა ინვესტორმა, მაგრამ მათგან უნდა გამოვყოთ რამოდენიმე ძირითადი ფაქტორი. კვლევის ფარგლებში დასმულ შეკითხვაზე თუ რომელ ფაქტორს მიანიჭებდა უპირატესობას ინვესტორი ახალი ინვესტიციის განხორციელებისას, რესპოდენტთა უმრავლესობა არაერთ ფაქტორს ასახელებდა მათგან უმრავლესობის აზრით სტაბილური პოლიტიკური გარემო არის ყველაზე მნიშვნელოვანი და შემდგომში გეოგრაფიული მდებარეობა თუ სად ხდება ინვესტიციის განხორციელება, ასევე საკუთრების უფლების დაცვა და საგადასახადო ადმინისტრირების სიმარტივე არის ძირითადი ფაქტორები, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მნიშვნელოვანი შედეგის მატარებელია ქვეყანაში არსებული კორუფციის დონე, რომელმაც შესაძლოა შეაფერხოს ინვესტიციები იხილეთ დიაგრამა დიაგრამა №28.

დიაგრამა №28

პირდაპირი უცხოური ინვესტიციის განხორციელებისას გასათვალისწინებელი ფაქტორები



თუმცა ხშირ შემთხვევაში არ ხდება რომელიმე ერთი ფაქტორისთვის უპირატესობის მინიჭება არამედ ინვესტორისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს შეზღუდვების გარეშე განახორციელოს მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობა.

დასკვნა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, სადაც ხდება არარეზიდენტი წარმომადგენლის მიერ კაპიტალის მიმღები ქვეყნის ყველაზე მომგებიან სექტორში. ამისათვის კი თანამედროვე მსოფლიოში ყველა ქვეყანა ცდილობს კაპიტალის მაქსიმალურად მობილიზებას იმდენად რამდენადაც ეს დაკავშირებულია ეკონომიკურ ზრდასთან და და პროგრესთა მრავალი მიმართულებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია კაპიტალის მიმღები ქვეყნისათვის ნიშნავს ტექნოლოგიურ სიახლეების დანერგვას, ადგილობრივი მუშახელის გადამზადებას და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდას, ხელს უწყობს დასაქმებას, შედეგად კი შეასაძლებელია ქვეყააში სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებისას მნიშვნელოვან წინაპირობას წაროადგენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა. კერძოთ თუ როგორ არის მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა ქვეყანაში, ამასთან კვალიფიციური ადამიანური რესურსი, სამართლებრივად როგორ არის მოწესრიგებული ინვესტორებთან ურთიერთობა, ამ და სხვა მრავალი პირობის გათვალისწინებით რომელსაც ყურადღება ექცევა ინვესტიციის შემოდინებისას სახელმწიფო დაწესებულებები მაქსიმალურად უნდა იყვნენ მზად შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად რათა არ აღმოჩნდეს შემაფერხებელი არამედ არსებული გარემო მასტიმულირებელი უნდა იყოს ინვესტორებისათვის.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო არის ერთ-ერთ წარმატებულ რეფორმატორი ქვეყანა რომელმაც დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან მრავალი რეფორმა გაატარა მათ შორის კი 2003 წლიდან დღემდე 50 რეფორმა იქნა გატარებული როგორც ინსტიტუციური, ასევე მარეგულირებელი გარემოს დახვეწის კუთხით. რეფორმები ეხება იგივე უცხოური ინვესტიციების შემოდინების წახალისებისა და შემდგომში მათი დაცვის მექანიზმების

თვალსაზრისით, ამას ცხადყოფს საინვესტიციო საქმიანობისა და გარანტიების შესახებ კანონი და კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ, ასვე მნიშვნელოვანია დანბალი საგადასახადო განაკვეთები და შეღავათები თუმცა ყოველივე ეს არ გვაძლევს საშვალებას, რომ შევაჩეროთ რეფორმების ციკლი და შევწყვიტოთ განვითარება, არამედ კიდევ უფრო მეტი უნდა გაკეთდეს იმისათვის რომ ქვეყანა დაუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემაფერხებელი ფაქტორი შესაძლებელია იყოს ქვეყანაში არსებული არასტაბილური პოლიტიკური გარემო და ნათლად ჩანს ბოლო წლების დინამიკაში, როდესაც პოლიტიკური დაძაბულობის პარალელურად საქარველოში შეიმჩნევა კლების ტენდენცია, რისი ნათელი მაგალითიცაა 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომი, რომლის შემდგომ ინვესტიციების შემოდინების ნაკადები მცირდება.

საქართველო მიმზიდველი ხდება ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნისათვის რაზეც მეტყველებს ამ ქვეყნებიდან განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა, ამასთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, მცირე გადასახადები, სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო, კორუფცის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მექანიზმების არსებობა და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირებას.

საქართველოში შემოსული ინვესტიციები მიმართულია საფინასო, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორში, თუმცა ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობიდან, ისტორიიდან და კულტურული მემკვიდრეობიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ტურიზმის სექტორში ინვესტირება საქართველოს მრავალფეროვანი გარემოდან გამომდინარე ერთ-ერთი მიმზიდველი და მომგებიანი იქნება როგორც ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის ასევე ინვესტორებისათვის.

კვლევიდანაც ნათლად ჩანს, რომ საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემო მიმართულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისაკენ ეკონომიკის

სხვადასხვა სექტორში, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

უცხოური ინვესტიციების შემოდინება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლარის სტაბილურობის დონის შენარჩუნებაში.

უარყოფითი ეფექტი რაც შეძლება უცხოურ ინვესტიციას ქონდეს რაც კვლევის ფარგლებშიც გამოიკვეთა, ინვესტორი მიღებული მოგების სახით შესაძლოა ქვეყნიდან გაიტანოს ფინანსური რესურსი და არ განახორციელოს რეინვესტირება.

რაც შეეხება დადებით ეფექტს პირდაპირი უცხოური ინვესტივია მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ახლი სამუშაო ადგილების შექმნას, ქვეყანაში შემოდის ახალი ტექნოლოგიები ნოუ-ჰაუ, ხელს უწყობს ადგილობრივი კადრების გადამზადებას და რაც ყველაზე მთავარია ზრდის კონკურენციის დონეს და ადგილობრივ მწარმოებლებს უბიძგებს თავიანთი საწარმოების განახლებისაკენ.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო ყოველწლიურად იუმჯობესებს საერთაშორისო პოზიციებს, რაც დადებითად აისახება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ზრდაზე და შესაბამისად სწრაფი ტემპებით მოხდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბსანძე თ. რა აფერხებს საქართველოში თიზების განვითარებას http://forbes.ge/news/3229/ra-aferxebs-Tizebis-ganviTarebas 26.12.2017;
2. ბარათაშვილი ე., მაგრაქველიძე დ. - საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები, თბილისი - 2009 http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=ekonomik&cl=CL4.2&d=HASH30e9b9383dc3dae95c178d.2.2.;
3. გერაძე რ. სტატია - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებითი და უარყოფითი შედეგები http://forbes.ge/blog/214/pirdapiri-ucxouri-investiciebis-dadebiTi-da-uaryofiTi-Sedegebi 30.11.2016;
4. ეჯიბია მ. ესტონეთი ქვეყანა - წარმატების მაგალითი http://eugeorgia.info/ka/articleblog/48/estoneti-qveyana--warmatebis-

magaliti/?fbclid=IwAR1MaF42OPyBHI9j_pI1huQ6xal45tUIi9pMEcDiDVSTI_OlJa7wgtIUy_E 16.03.2017

5. ესტონეთის ცენტრალური ბანკის სტატისტიკური მონაცემები http://statistika.eestipank.ee/#/en/p/MAKSEBIL_JA_INVPOS/146;
6. თეთრუაშვილი ზ. თეთრუაშვილი ქარდავა მ. - საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ - ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პირობებში - თბილისი 2006;
7. ინვესტიციები ბათუმში - https://investinbatumi.ge/?pid=1479&gid=5;
8. ლაარი მ. სტატია ესტონეთის ეკონომიკური სასწაული თარგმანი ჯიბლაძე გ. 30.04.2018 https://on.ge/story/6415-%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98?fbclid=IwAR1sYtFdi6Sm_GzR7j6RfcwYbeGBPHyTlvNuzf32aEzfWqlvVf64f9_ZFUs;
9. ლატვიის სტატისტიკის სამსახურის მონაცემები http://www.liaa.gov.lv/en/invest-latvia/investor-business-guide/foreign-direct-investment?fbclid=IwAR2p3l0dpRr3ydTWI8ZhBfblBFcn9VcKlNpr3R4mHguqmvp_RvUX2aN8FNw;
10. ნამჩავიძე ბ. - რამდენად წარმატებულად იზიდავს საქართველო უცხოურ ინვესტიციებს https://forbes.ge/news/2115/ramdenad-warmatebulad-izidavs-saqarTvelo-ucxour-investiciebs 11.05.2017;
11. პაპავა ვ. თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა „უკვდავი“ იდეა - თბილისი 2007;
12. სიხარულიძე დ. ჭარაია ვ. - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: თეორია და საქართველოს გამოცდილება თბილისი - 2018;
13. სტატია - რა არის საინვესტიციო კლიმატი - http://delta-capital.ge/news/id=63;
14. საქართველოს საპარტნიორო ფონდი - http://www.fund.ge/;
15. საინვესტიციო კლიმატი საქართველოში ძალიან მომგებიანია - აწარმოე საქართველოშიhttp://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/826-sainvesticio-klimati-saqartveloshi-dzalian 04.05.2018;
16. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში - http://www.economy.ge/;
17. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka;
18. საქართველოს ეროვნული ბანკი https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2;
19. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ეკონომიკური ზრდა - https://www.mof.ge/;
20. საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ 15 მუხლი თ ქვეპუნქტი;
21. საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობისა ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ;

22. საქართველოს კანონი - საქართველოში ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ;
23. ფარჯიანი შ. - ეკონომიკურ ზრდაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის სტატისტიკური კვლევა - დისერტაცია თბილისი - 2016;
24. შამანაური ხ. - ესტონეთის გამოცდილება დანგრეული ეკონომიკიდან ბალტიის სასწაულამდე 22.01.2018 - http://eugeorgia.info/ka/article/352/estonetis-gamocdileba---dangreuli-ekonomikidan-baltiis-saswaulamde/;
25. ჭარაია ვ. - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის (საქართველოს მაგალითზე) დისერტაცია თბილისი - 2015;